როგორჩ ვხედავთ, კირკე იტალიურ სამყაროში რელიგიური თავჯანისწემის ობიექტი იყო. აღსანიშნავია ისირ, რომ მასთან დაკავშირებული საკულტო ადგილების ნაკვალევის მოძიება ჯერჯერობით მხოლოდ დასავლეთმედიტერანულ არეალში ხერხდება.

საზერძნეთში კირკეს ერთადერთი გადმოჩრემა ათავსებს. სტრანონს ნახსენები აქვს კირკეს საფლავი ელევსინის ყურეში. ფარმაკუსების ერთ-ერთ კუნძულზე, -აქვია ორი პატარა კუნძული ფარმაკუსები, რომელთაგან უფრო დიდზე კირკეს საფლავს გვიჩვენებენ.<sup>4</sup>

ზერძნულ გარემოში ჯერჯერობით არ აღმოჩენილა კირკეს საკულტო ადგილები და არჩ მასთან დაკავშირებული რიტუალები გამოვლენილა.

## ☒ ზოგიერთი დასკვნისთვის

კირკე, პელიოსისა და პერსეს უკვდავი ასული, -ქალღმერთთა შორის ღვთაებრივი“, -აღამიანური ხმით მოუზარი ძრნოლისმოძვერელი ღმერთი“ იყო. მედიტერანულ არეალში არსებობდა მისი კულტი, შესაბამისად მასთან დაკავშირებულ საკულტო ღვთისმსახურებასარ უნდა ვარსება. კირკეს ზოგიერთი ეპითეტი აღძრავს ევკს, რომ ნარმოდგენათა უძველეს ეტაპზე იგი ანდროგინი ღვთაება უნდა ყოფილიყო. „მრავალბლახოსანმა“ ქალღმერთმა, თავისი ძმისწულის, მეფეას მსგავსად, უპირველეს ყოვლისა, ბლახათა გამოწნობითა და ნამალთა შეზავების ხელოვნებით გაითქვა სახელი ანტიკურობაში. ამგვარი წოდნა, როგორჩ



<sup>1</sup> Lyd. mens. 12: ἡ Κίρκη... ἐς τιμῆν τοῦ οὐκείου δῆθεν πατρὸς ἱπποδρόμου ἀγῶνα πρώτη ἐν Ἰταλίᾳ ἐτέλεσεν ...

<sup>2</sup> ობ. I. Borsák, 1980, 63-64. κίρκος, circus=ἵπποδρόμιον. ობ. E. A. Sophocles, 1904, 665.ამ წნობათა ინტერპრეტაციოსათვის ობ. გვ. 118 შმდ.

<sup>3</sup> Tert. 8: quod spectaculum primum a Circa Soli, Patri suo, ut volunt, editum affirmant; ab ea et circi appellationem argumetantur.

<sup>4</sup> შდრ. ა. ურუშაძე, 1964, 423; Strab. IX 1, 13 (395): Ἐνταῦθα δὲ καὶ αἱ φαρμακοῦσαι δῖα νησῖα, ὧν ἐν τῇ μείζονι Κίρκης τάφος δέικνυται.

ჩანს, ბერძნულ გარემოში ურხო ქვეყნიდან უნდა შესულიყო. შეიძლება, ამიტომარ შეითვისა ანტიკურობამ კირკეს და მედეას – კოლხური წარმომავლობის ორი უდიდესი ჯადოქრის – სახე ასე ორგანულად და მათ სრულიად გამორჩეული ადგილი დაუმკვიდრა ბერძნულ-რომაულ პანთეონში.

როგორც დავრწმუნდით, კირკე, თავისი შთამომავლების გამო, მზიდროდ უკავშირდება დასავლეთმედიტერანული, კერძოდ, ეტრუსკულ გარემოს. ჰომეროსის მეშვეობით კი, რომელიც მას ოდისეისის ხეციალის რეკლში ჩართავს, იგი თანდათან ბერძნული სამყაროს ნაწილიც ხდება. როგორც აიეცის და, იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს არგონავტების თქმულებაში და კოლხური პანთეონის ორგანული ნაწილია. ვფიქრობ, არ არის გამორიყხული, რომ კირკეს, მინოსის მეუღლისა და კრეტის დედოფლის – პასიფაეს დას, კავშირი ჰქონოდა კრეტულ მითოლოგიასთანაც, მაგრამ ნყაროები ამასთან დაკავშირებულ თითქმის არანაირ რწობას არ გვანვდის, თუ არ გავითვალისწინებთ ერთ მინიშნებას აპოლოდოროსთან, რომლის მიხედვითაც, მინოსი პასიფაეს ჯადოქრობისგან კირკეს ფესვის (Κίρκαια ρίζα) ნაყენმა იხსნა.<sup>1</sup>

ქართულ მეზნიერებაში უკვე გამახვილდა ყურადღება იმ კანონზომიერების შესახებ, რომელსაც აიეცისა და მისი და-ძმების ხმელთაშუაზღვისპირეთში განსახლების სურათი ავლენს:<sup>2</sup> ისინი წინაბერძნული კულტურის გავრცელების რეგიონებთან არიან დაკავშირებულნი. კირკეს სამფლობელო ხშირად ეტრუსიაში გაიზარება, აიეცი ეფირესთან, წინაბერძნული ცომების გავრცელების ერთ-ერთ მთავარ რეგიონთან არის დაკავშირებული, პასიფაე კი კრეტის მეფის – მინოსის მეუღლეა.


კრეტა II ათასწლეულში წინაბერძნული მინოსური კულტურის გავრცელების ძირითადი რეგიონია. ქართველურ ცომთა ხმელთაშუაზღვისპირეთში განსახლების შესახებ ერთ-ერთი ჰიპოთეზის მიხედვით, თუკი მას გავიზიარებთ, ძვ.წ. აღ-ის III-II ათასწლეულთა მიჯნაზე კავკასიიდან ქართველურ ცომთა ერთი ნაწილი ეგეიდაში გადასახლდა. აქედან გაქართველურებული ცომების ნაწილი კრეტისკენ, ნაწილი კი იტალიისკენ უნდა დაძრულიყო.<sup>3</sup> ამგვარად, არ არის გამორიყხული, კირკეს მითი, გარკვეული თვალსაზრისით, რეალური მიგრირების სურათს ასახავდეს.



<sup>1</sup> შდრ. Apollod. III. XV, 1.

<sup>2</sup> რ. გორდეზიანი, 1985, 129-140.

<sup>3</sup> რ. გორდეზიანი, 1999, 43.



კირკეს გენეალოგიის ამსახველი სურათი სქემატურად ამგვარად გამოიყურება და, პირველ რიგში, სწორედ მასში უნდა ვეძებოთ კირკეს მითში ჩაშიფრული მრავალი საიდუმლოს გასაღები.



და თიამათი ყოველთა მშობელი,  
 თავ-თავიანთ ნყლებს ერთად ურევდნენ.  
 მერე წარმოიშენენ ღმერთნი მათ ნიაღში:  
 ლახმუ და ლახამუ გამოჩნდნენ, სახელი ეწოდათ”.

ქმნადობის პროცესი იმთავითვე გულისხმობს სახელოდებას და, პირიქით, სახელოდება არსებობის აღიარებებს ნიშნავს.

ქრისტიანული წარმოდგენით, ზავძვი იზადება მაშინ, როდესაც ნათლისღებნისას სახელი ეწოდება. ძველი სახელის იგნორირება და ახლის მიყვამა გარდაცვალებასა და ხელმოკრედ ახალი არსით დაზადებებს შეესატყვისება ბერად აღკვერის რიტუალში.

სახელი პიროვნებასა თუ პერსონაჟის ერთგვარი პორტრეტი, რომელიც ამ თუ იმ არსებით მხატვანთმეტელს ახახავს და ხშირად მასში უფრო მეტის ამოკითხვა ხერხდება, ვიდრე ვრცელი და მდორე მონათხრობში.<sup>1</sup>

ეს შეეხება ზოგადად ონომასტიკას – როგორც ანთროპონიმებს, ასევე ტოპონიმებს. მით უმეტეს იგივე ითქმის მითოლოგიურ სახელებზე. მითოსური პერსონაჟების შემთხვევაში, როგორც ნესი, ე.წ. „მეტყველ სახელებთან“ გვაქვს საქმე და მითოსური სახის გახსნარე, უპირველეს ყოვლისა, მისი სახელის გაშიფვრით უნდა იწყებოდეს.<sup>2</sup>

მსოფლიო ხალხების წარმართულ მანთეონთა ქაღღვთაებების სახეების კვლევაში მათი არქეტიპის კვლევის საკითხი დააყენა.<sup>3</sup> ანტიკური მითოლოგიის ქაღღმერთთა თუ ქაღღ-პერსონაჟთა სახელების ანალიზისას ერთი უაღრესად საინტერესო კანონზომიერება გამოვლინდა – თავდაპირველად თითოეული მათგანი ერთი და იმავე ღვთაების სხვადასხვა ფუნქციის გამომხატველი ეპითეტი უნდა ყოფილიყო,<sup>4</sup> რარ გვაფიქრებინებს, რომ ოდესღარ არსებობდა ერთი უნივერსალური, კოსმიური, პოლიფუნქციური ქაღღვთაება, რომელიც ანონიმური იყო და შესაბამისად სხვადასხვაგვარად მოიხსენიებოდა ხან ადგილის მიხედვით, ხანარ სხვადასხვა საკულტო მნიშვნელობის ეპითეტით. ეპითეტში, ამ შემთხვევაში, იგულისხმება ზედსართავი და არსებითი სახელები ან მოკლე, გაქვავებული ფორმულა, რომელიც ღვთაებას რომელიმე ერთი

კვანტორიკა

<sup>1</sup> П. Флоренский, 1990, 364-365; F. Dornseiff, 1956, 101-123.

<sup>2</sup> მდრ. В. Нерознак, 1978, 91; Р. Якобсон, 1970, 617.

<sup>3</sup> თუკი ადრე ფიქრობდნენ, რომ დიდი დედა კვლეა მეტ-ნაკლებად რნობილი ქაღღმერთის არქეტიპია. XX ს-ის უკანასკნელი მეოთხედში თავად დიდი დედის არქეტიპის საკითხი დაისვა, რომელიც, აღნათ, ანდროგენული არსება უნდა ყოფილიყო (ამასთან დაკავშირებით იხ. რ. წანავა, 1999, 104-115).

<sup>4</sup> იხ. W. Roscher, 1890-94, 1119-1199.



კონკრეტული თვისების მიხედვით ასახაიანებს.<sup>1</sup> თანდათან მოხდა ამ სახის დაშლა ლოკალურ კულტურებში, რომლებშიც ერთ-ერთ ფუნქციას დაეკისრა ნამკვანი როლი. შესაძამისი ეპითეტი საკუთარ სახელად გადაზარდა და არსებობდა გააგრძელა როგორც დამოუკიდებელია მითოსურმა ოდენობამ.<sup>2</sup>

ეპითეტი, ეპიკლესა და სახელი ლვთაების ონომასტიკურ ატრიბუტად შეიძლება ჩაითვალოს. ჩვეულებრივ, ატრიბუტს უწოდებენ ნივთს, რომელსაც ლვთაებასთან ერთად გამოასახევენ ხოლო, როგორც მაგალითად, ჰოსიედონის სამკამს, ჰერმესის კვერთხს ან არტემისის მშვილდ-ისარს. სახელი-ატრიბუტი ამგვარი ნივთისაგან მხოლოდ გამოასხვის ენობრივი ფორმით განსხვავდება. თავის მხრივ, საგანი, როგორც ატრიბუტი, ნივთიერი მეტაფორაა.

ღმერთთა ატრიბუტიკა შეიძლება ძირითადი კომპონენტებისგან შედგება: ონომასტიკა (ანუ სახელები, ეპიკლესები, ეპითეტები), საკრალური ნივთები,<sup>3</sup> რხველები და მყენარები. თითოეული მათგანი ამ ღმერთის მიერ განვლილ ფაზას წარმოადგენს.<sup>4</sup>

ამდენად, მიზანშეწონილი უნდა იყოს, რომ კირკეს მითის კვლევარ მისი სახელის ანალიზით დაიწყოს.

ძველი ავტორები კირკეს ეტიმოლოგიურად κίρκος-ს და κύκλος-ს უკავშირებდნენ როგორც სავსე მთვარის აღმნიშვნელს.

მაგალითად, ფსევდო პლუტარქე ოდისევსის თანამგზავრებს სამყაროს წრიულ მოძრაობაში მოქრულ სულებად, კირკეს კი რკლურობის განხორჩილებად თვლის.<sup>5</sup> მისი აზრით, ამასვე ასახავს კირკეს წარმოშავლობა ჰელიოსისგან, რადგან მზე-ჰელიოსი ანიჭებს სამყაროს მარადიულ სიერეხლეს.

პორფიროსი კირკეს, როგორც მზის ასულს, უკავშირებს ჰალიონგენესას.<sup>6</sup> რებადა, ორივე ავტორი იწმომს კირკეს კავშირს წრებრუნვასთან.

კირკესის ეტიმოლოგია

<sup>1</sup> შტრ. O. Фрейденберг, 1978, 114.

<sup>2</sup> ზოგი დედა ქალღმერთი – Magna mater – ასტრალურ დონეზე მთვარეს (ან მზეს) დაუკავშირდა. ფრიგიასა და თრაკიაში იგი იწოდებოდა იდადა, სპილიენად, ჰესი-ნუნტიად, კინელიფ. მის ეპითეტებს შორის იყო eveteksetey („კეთილად შობილი“ < εὖ + τίκτω/ბომ. τέκτω, ან „კეთილად შეკავშირებული“ < ხეთ. takš-), evteveya („სამარ-თლიანი“ შტრ. შერბ. εἰθύς), tiveya („გამშავებული“ შტრ. შერბ. θύω). საკულტო მნიშვნელობის ეს ეპითეტები თანდათან საკუთარ სახელებად გააზრებოდა (იხ. Л. Байон, В. Орёл, 1988, 1, 182; 187; 190; М. Васильева, 1990, 3, 94-101).

<sup>3</sup> იხ. В. Топоров, 1995, 11-15.

<sup>4</sup> შტრ. O. Фрейденберг, 1978, 115-116.

<sup>5</sup> Plut. De vita et poesi Homeri, 126, 3-9. იხ. გვ. 137, შტნ. 2.

<sup>6</sup> Stob. Ecl. I, 446. 11-16. იხ. გვ. 140, შტნ. 4.

პროკლე „კრატილოსის“ კომენტარში ურადღებდას ამხვილებს ებ-ზოდზე, როდესაც ჭადოქარი სიმღერით მიდი-მოდის სართავთან (κ 220-223). ჰირველად კირკე ასე წარსდგება ოდისეოსს თანამგზავრთა თვალწინ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ავტორისთვის რწობილი უნდა ყოფილიყო კირკეს სახელის განმარტების სხვა შესაძლებლობა: Etimologicum Gudianum, რომელიც გრამატიკოს სელევკოსის განმარტებას გადმოგვრებს, ისევე როგორც Etimologicum Magnum და სვიდა ქალღმერთის სახელს κερκίς-ს (საქსოვი მაქო) უკავშირებენ.<sup>1</sup>

Κίρκη, ἢ κίρῳσα τὰ φάρμακα, ἢ παρὰ τὴν κερκίδα. τὺς δὲ παιπλῳσας γυναίκας Κίρκας φαμὲν – ვითხულობთ სვიდასთან.<sup>2</sup>

ანტიკურობისთვის სახელის ზემოთ მოყვანილი ინტერპრეტაციები იყო ზუნებრივი. ძველი ავტორები რატომღაც ურადღებდას არ აქრე-დნენ განმარტების კიდევ ერთ – კირკეს შევარდენთან დაკავშირების – შესაძლებლობას. ამ კონტექსტში ფრინველის κίρκος ჰირველად ევსტათიოსს თესალონიკელი ახსენებს „ოდისეას“ კომენტარში: Κίρκη δὲ ὑπὸ μὲν συγῆθας κύριον ὄνομα, ἐξ ἧς που καὶ Κίρκαϊον πεδίον. “Ὅτι δὲ καὶ ὄρνιθος ὄνομα ἡ κίρκη δηλοῦσιν οἱ παλαιοί.” Ὡν καὶ ὁ Αἰλιανός. “Ἄλλο δὲ τι ἢ τοιαῦτη παρα τὸν κίρκον.”<sup>3</sup>

ევსტათიოსს კირკეს ნელინაფთან, მის ოთხ მსახურს კი ნელინაფის დროებთან აიგივებს. საფუძველი ამისათვის, ალბათ, ადრეული ეტიმოლოგიები, კერძოდ კი, კირკეს წრებრუნვასთან, რეკლურობასთან კავშირი უნდა იყოს.

XX ს-ში ამ ტერმინის ზერძული ტრადიციისაგან იზოლირებულად ახსნის ტენდენცია გამოიკვეთა.

რ. გორდენიანი სახელში Κίρκη გამოყოფს ძირს გორ/გრ (ზრუნვა, ტრიალი), აღნიშნავს, რომ იგი ზერძული ტრადიციისაგან იზოლირებულად დგას და უძნის მას ქართულურ ჰარალელებს grgoli, girgoli, grkali, kirkali, grko (krko). იგი დასამყვდად მიიჩნევს ტერმინის ქართულურ არეალთან დაკავშირებას.<sup>4</sup>

იყო მრჯელობა, განემარტათ Κίρκη როგორც სემიტური წარმოშობის სიტყვა. ო. გრუპე მას სირიულად, ხოლო კალიფოსოს მის ზე-

<sup>1</sup> S. Tochtermann, 1992, 85-86.

<sup>2</sup> კირკე, ნამღების შემზავებელი (κίρῳσα), ან სიტყვისაგან κερκίς (საქსოვი მაქო). გაიძვერა ქალღმებს კირკემს ვუნადებთ.

<sup>3</sup> იხ. გეორგიკა, VIII, 1970, 1; კირკე, ჩვეულებრივი, საკუთარი სახელითა, სადაწანარ არის „კირკეს დაწლობი“. ძველები მონიშნენ, რომ კირკე ფრინველის სახელიც არის. მათ შორის ელიანოსიც. მაგრამ იგი „კირკოსისგან“ განსხვავდება.

<sup>4</sup> P. Гордезиани, 1984, 208.

რძნულ თარგმანად თვლიდა. მისი აზრით, კირკეს არაფერი აქვს საერთო circus-თან და κρέκω-სთან, არამედ სირიულია და ნიშნავს „შემხრავს“ (Umhüllerin).<sup>1</sup> ჰ. გიუნტერტი ამგვარ მსჯელობას სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნევდა და მას „ფანტაზიორობას“ უწოდებდა. „ლევორ კი, რომელიერ ასე მონადინებულია სემიტური ეტიმოლოგიები მოიძიოს, – წერს იგი, – კირკეს გვერდს უვლის“. მისი აზრით, უფრო სწორი იქნებოდა, იგი ტერმინებთან κρίκος, κρικόν, circus დაგვეკავშირებინა და გვეფიქრა მაგიურ წრეზე, რომელიერ მაგიური ქმედებების დროს გარკვეულ როლს ასრულებს.<sup>2</sup>

ქალღმერთი, რომელიერ თვითონ წყლით შემორკალულ მუხნარით დაზრულ კუნძულოზე ბინადრობს, მართლაც მაგიურ წრეში მოაქრევს ოდისევის თანამგზავრებს. კირკეს სახელში ჩამოფრულ ამგვარ შინაარსს ქართულად კარგად გამოხატავს „კრულვა“, რომელიერ წყევლას გულისხმობს. იგი ნანარმოებია მიმღეობისგან კრ-ულ-ი და მაგიურ წრეში მოქრეულს, შვერულს ანუ მოჭადოებულს აღნიშნავს (შდრ. ბედ-კრული, ბედშვერული).<sup>3</sup> ერთი მხრივ, ყურადღებას იპყრობს კრ ძირი, რომელიერ ამ ტერმინებში გამოიყოფა, მეორე მხრივ კი ის, რომ ამგვარი წყევლისაგან თავის დაღწევა, ისევე როგორც (შე)კრულის (კვანძის, სკენილის) გახსნა ერთი სიტყვით – (და)ხსნა, (გა)ხსნა – აღნიშნება.

ჰ. შანტრენი და ჰ. ფრისკი სახელს K(PI)K(PI) ინდოევროპული წარმომავლობისად მიიჩნევენ და ფიქრობენ, რომ ტერმინი ბგერათმშენებლობითაა ნანარმოები. თუმცა შანტრენი არ გამოირიხავს, რომ იგი შვეარდენს ან რგოლს, წრეს, ბეჯედს უკავშირდებოდეს.<sup>4</sup> ფრისკი საკუთარ სახელს რაღაც არ იმონებებს და მას შვეარდენთა თუ ქორი-სებრთა ოჯახის ფრინველთან აკავშირებს.<sup>5</sup>



<sup>1</sup> O. Gruppe, 1906, 708, შგნ. 1402

<sup>2</sup> H. Güntert, 1919, 15.

<sup>3</sup> ბედ-ღმერთის ქალღვთაებები სხვადასხვა კრადიფიაში ძაფის მრთველებად და მქსოველებად წარმოადგინებან. თითისჭარბი და სართავი ჯარა სიერებლისა და წარმავალობის სიმბოლოებს წარმოადგენს. ქართულ კრადიფიაში ბედ-ღმერთის ქალღვთაებზე და მოკიდებული ბედის „შეკრა“ თუ „გახსნა“. ისინი ქსოვენ ახალშობილის ბედ-ღმერთს. (შდრ. „ბედნიერ პურანგში“ დამადებულის და ძაფის/სიმის განყვეტის მოტივი). ნ. ანაკლიას დაკვირვებით, მინიშნებები იძის თაობაზე, რომ ბედისმწერლები იმთავითვე ბედის მქსოველები იყვნენ, მოაპოვება საინგილოსა და სამეგრელოში დაფიქსირებული სახალხლო წეს-ჩვეულებებში. შდრ. ნ. ანაკლია, 1997, 122-128.

<sup>4</sup> P. Chantraine, 1970.

<sup>5</sup> H. Frisk, 1960.

ო. კელერის აზრით, ΚΙΡΚΟΣ ὄνομαζο-პოეტური წარმომავლობის სიტყვაა და აღნიშნავს ფრინველს, რომელიც „კრი-კრის“ ან „კირკ-კირკს“ იძახის.<sup>1</sup>

ამ თვალსაზრისით პრინერპულად ახალს არაფერს გვთავაზობენ ვ. ჰაპე და პ. ებელინგი.<sup>2</sup>

ბერძნული ტრადიციისთვის ორგანულია რხოველთა სახელების ქალთა საკუთარ სახელებად გადმოცანა.<sup>3</sup> გარდა ამისა, იქ, სადაც მითოლოგიური გადმოცემები თვალის გადავების საშუალებას იძლევა, ვხედავთ, რომ ანთროპომორფულ ღვთაებებს განვითარების უფრო ადრეულ ეტაპზე ზოომორფული კორელაციურ შეესაბამებათ. ამდენად, თეონიმის ΚΙΡΚΗ ფრინველის სახელთან ΚΙΡΚΟΣ დაკავშირება სრულიად ბუნებრივი უნდა იყოს.



უძველესი წყარო, სადაც ნახსენებია ΚΙΡΚΟΣ, როგორც ფრინველის დასახელება, არის „ოფისეა“:

...οὐδέ κεν ἴρεξ

κίρκος ὀρματῆσειν, ἐλαφρότατος πετεηνῶν· (ν 86-87).

მაგრამ ჰომეროსი არ განასხვავებს ΚΙΡΚΟΣ და ἴρηξ-ს ერთმანეთისგან და წერს: ἴρηξ κίρκος. ამ დევილს სხვადასხვაგვარად კითხულობდნენ, რადგან ვერ ხვდებოდნენ, თუ რომელი კონკრეტული სახეობა ჰქონდა ავტორს მხედველობაში. თვლიდნენ, რომ ἴρηξ გვარი უნდა ყოფილიყო, ხოლო ΚΙΡΚΟΣ კონკრეტული სახეობა.

ΚΙΡΚΟΣ შეიძლება გავიგოთ როგორც: ა) რკალი, რგოლი, ნრე; ბ) შევარდნის თუ ქორის სახეობა, რომელიც ფრენისას წრეს შემოხაზავს, ხოლო ἴρεξ ΚΙΡΚΟΣ შესიტყვებაში როგორც ზედსართავი სახელი – რკალის შემომწერი შევარდენი.<sup>4</sup>

კირკეს სახელში ამგვარი შინაარსის ამოკითხვის შესაძლებლობა, აღმათ, მის არქაულობაზე მიგვანიშნებს.

მითოპოეტური მსოფლალქმისათვის დამახასიათებელი არ იყო მოვლენათა ანსტრაპირება. ძველი ადამიანი სამყაროსთან კონტაქტს ამყარებდა პრინერპით „მე“ – „შენ“ და არა როგორც თანამედროვე ადამიანი – „მე“ – „იგი“. სამყარო აღიქმებოდა როგორც სულიერი და, შესაბამისად, როგორც აქტიური, მოქმედი და მდებარეობით ან მამ-



<sup>1</sup> O Keller. 1909. 18-19.

<sup>2</sup> H. Ebeling. 1894.

<sup>3</sup> მაგ. Μέλιττα (ფუტკარი). Χαλιδόνιον (მერქხალი), Πηλεόπη (იხინვა) .

<sup>4</sup> შტრ. F. Passow. 1841; ამ თვალსაზრისს იზიარებს ფრისკურ.



იგი ამ ფრინველისაგან ჩაისახა. ეგვიპტეში შვეარდნის სახით გამო-  
სახავდნენ ჰორუსს. ერთ-ერთი ეგვიპტური მუმიის საფარველზე შვე-  
ვარდნის სახით გამოხატულია სული, რომელიც თავს დასცროიალებს  
გვამს. შვეარდნთა თავცანისრემის დამადასტურებელია ქალაქ ჰერაკო-  
პოლისის არსებობა ნილოსის სანაპიროზე.

ამ ფრინველის მუმიფიცრებულ სახეობებს, რომლებიც ეგვიპტეში  
აღმოჩნდა, მერნიერები დიფხანს იკვლევდნენ. ლორცეცისა და გაი-  
ლარდის მიერ გამოკვლეული ხუთასი მუმიიდან ყველაზე დიდი რაო-  
დენობა – ოთხმოცდათერთმეტი – *Falco tinnunculus* აღმოჩნდა.

ძველი ორნითოლოგები *accipiter/ίέραξ*-ის (ქორი, შვეარდენი) თე-  
ქვსმეტ ქვესახეობას და სამ ძირითად სახეობას – *Κίρκος, Τριόρχης*  
(*Falco buteo*), *Αισάλας* (*Falco aesalon*) – გამოპყოფდნენ.<sup>1</sup> ასაკისა და  
ნელინადის დროთა მიხედვით მათი ზუმბულის შეფერილობა ივლეობო-  
და, ამიტომ სშირად მათი ერთმანეთისაგან გარჩევა თითქმის შეუძლე-  
ბელი იყო.<sup>2</sup>

თუკი ურხოელი ავტორები *κίρκος*-ს შვეარდენთა თუ ქორისებრთა  
ოჯახის ურნობ ნარმომადგენლად მიიჩნევდნენ, ქართულ არეალში მას  
კონკრეტული შესატყვისი მოეძებნება. კირკიტა,<sup>3</sup> შვეარდენთა რიგის  
ნითური მტარებელი ფრინველი, შეესაბამება *Falco tinnunculus*-ს –  
სწორედ იმ სახეობას, რომელსაეც ეგვიპტელები წმინდად მიიჩნევდნენ.

ქართული ენა სხვა საინტერესო ენობრივ ჰარაღელსაეც გეთავაზობს:  
თუკი კირკიტა მტარებელი ფრინველის სახეობაა, კირკიტი ქართულის  
ერთ-ერთ დიალექტში ხალიჩის საქსოვ ხის ჩხირს აღნიშნავს.<sup>4</sup> საქსოვ  
მაქოს კი (*κερκίς*), როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები, ძველი ავტორები  
ეტიმოლოგიურად კირკეს სახელს უკავშირებდნენ.

კირკეს სემანტიკური ველის სიტყვეების მოძიებისას ურადღებდა  
მიიპყრო *μῦλυσ*-ს ქართულმა შესატყვისებმა.

*Μῦλυσ*-ს ეტიმოლოგიის კვლევისას ქართველ თუ ურხოელ მერნიე-  
რებს არაერთი მოსაზრება გამოუთქვამთ, თუმეც, დაბეჯითებით რაიმეს  
მტკიცებდა დღემდე შეუძლებელია.<sup>5</sup> ამჯერად არ შევუდგებით ამ მა-  
საღის მიმოხილვას. ამის შესახებ ვრეელი სამერნიერო ლიტერატურა

გაყვარებულია

<sup>1</sup> Plin. nat. X, 21; Aristot. hist. an. VIII, 3.

<sup>2</sup> O. Keller, 1909, 14.

<sup>3</sup> რ. გორდეზიანი, 1985, 88; ი. ზაგრატიონი, 1986, 6; ქგლ 1986; ქკოსკ 1984.

<sup>4</sup> ქკოსკ 1984.

<sup>5</sup> გორდეზიანი, 1970; P. Гордезиани, 1984, 208; И. Гагуа, 1984, 65-68. იქვე დასახე-  
ლებული ლიტ-რა.



არსებობს.<sup>1</sup> უდავოა მხოლოდ ის, რომ მას არაბერძნული სიტყვაა და მას საყურადღებო ქართული შესატყვისი აქვს მოლოს სახით. მოლოს აკავშირებენ მოლოქთან, ზაღახთან, აიგივებენ ზაღახთან, ზოტანიყურ Malva-სთან.<sup>2</sup> ვფიქრობთ, უკვე არსებულ მასალას საინტერესო შერჩის შემატება ის დეტალიერ, რომ ზოტანიყურ Malva-ს, ანუ ზაღახს, ქართულ დიალექტში შეესაბამება: კორკოტა,<sup>3</sup> კორკოტინა, ჩიტიპურა.<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ეს მწენარე გავრცელებული ყოფილა ამიერკავკასიაში. მისი ლეროსაგან ქერელის ამზადებდნენ, ხოლო ზაღახს რძითა და ფქვილით შემზადებულ ფაფას სამკურნალოდ იყენებდნენ.<sup>5</sup>

ქართულში არსებობს ფორმალურად იმავე ძირიდან იმავე პრინციპით ნაწარმოები სიტყვა კორკოტი, რომელიც ხორბლის მრგვალი ფორმის მარჯვალს და ამასთანავე ერთგვარ რიტუალურ კერძს აღნიშნავს.

სახელებში კირკიტა, კირკიტი, კორკოტანა, კორკოტი შეიძლება გამოიყოს სიმრგვალის აღმნიშვნელი კრკ/კრ ძირი და კნინობითის მანარმოებელი -იტა/-იტო/-ოტა სუფიქსი. ქართულისათვის სახელთა ამგვარი ნარმოება სრულიად ბუნებრივია.

ყურადღებას იპყრობს კორკოტის მოზადების დასავლეთ საქართველოში დღემდე შემორჩენილი ტრადიცია, რომელიც საქართველოს სხვა რეგიონებში არის გავრცელებული: ამ კერძის დასამზადებლად იყენებენ რძეში ან ნყალში მოხარშულ დაწეხვილ ქერს ან ხორბალს. მას უმატებენ თაფლს და ამ კერძითა და შავი ღვინით მიწვალე-ბულთა სულებს იხსენიებენ.<sup>6</sup>

თუკი გავითვალისწინებთ კირკეს აკავშირს საიქიოსთან და მიზანშეწონილად მივიჩნევთ კრ ძირიდან -იტა/-იტო/-ოტა სუფიქსით ნაწარმოები ტერმინების კირკეს ველის სიტყვებთან დაკავშირებას, აღნაშთ, უმნიშვნელო არ უნდა იყოს, რომ კორკოტი მიწვალებულთა კულტთან დაკავშირებული რიტუალური კერძია. დღემდე გავრცელებული ტრადიციის მიხედვით, სწორედ კორკოტი და შავი ღვინო არის გარდაქველილთა სულების უპირველესი მოსახსენიებელი.

რეკონსტრუქციები

<sup>1</sup> მოლოს სხვა ასპექტების შესახებ იხ. გვ. 28-29.

<sup>2</sup> ა. მაყაშვილი, 1961, 172.

<sup>3</sup> ქეთსუ 1984.

<sup>4</sup> ა. მაყაშვილი, 1961.

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი, 1986, 174.

<sup>6</sup> ჯ. ზარამიძე, 1987, 56.





პლინიუსის მიხედვით, Pramnion ეწოდება შავი ფერის ძვირფას ქვა-სარე.<sup>1</sup> ამავე ქვის სხვა სახელწოდება – Morio (ძღრ. μῦρον, ზოგ. Morus nigra L./შავი ხართუთა<sup>2</sup>) – გვაფიქრებინებს, რომ ეს დასახელება შედარებას ემყარება და შესაბამისი ვაზის ჯიშურ, ისევე როგორც მისგან დანერგული ღვინო, შავი უნდა ყოფილიყო.<sup>3</sup>

რაც შეეხება მთის დასახელებას Πράμνιος, ისურ \*σπαρ ძირიდან უნდა მომდინარეობდეს. არ არის გამორიყხული, რომ მას თავისი დავრებილი ფორმის გამო მიეღო ეს სახელი.<sup>4</sup>

ა. გონელის მიერ შემოთავაზებული ეტიმოლოგიური მასალის მიხედვით, οἶνος πρᾶμνιος-ში შეიძლება ვივარაუდოთ გარეული ხვიარა ვაზის შავი ჯიშისაგან დაშლადებული ღვინო. გარეული ხვიარა ვაზის ერთ-ერთი ქართული შესაბამისი – კრიკინა – კრ ძირიდან ნაწარმოები ტერმინია, რომელსაც, როგორც ჩანს, სწორედ თავისი მიხვეულ-მოხვეული ფორმის გამო დაერქვა ეს სახელი. ვაზის ამ სახეობის შავი ჯიში საქართველოში გავრეცელებული ყოფილა.<sup>5</sup>

კირკიტა – კირკიტი – რკალი/კრული/რულივა – კრიკინა – კორკოტი – კორკოტინა – ერთ ველს ქმნის როგორც ენობრივი, ასევე მითოსური სემანტიკის თვალსაზრისით.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ფრინველთა, წხოველთა და მყენარეთა სახელები, აგრეთვე კერძები, ენის ერთ-ერთ უცვლელ ძველ პლასტს უნდა იწინააღმდეგოს, ქართულ-ბერძნული მონაცემების შედარებით ანალიზი მეტად საყურადღებო მასალას გვთავაზობს.

ანტიკურ ლიტერატურაში გაზნეული მასალის მიხედვით, კირკეს უმთავრესი ფუნქცია ჯადოსნობაა:

☞ მას აქვს უნარი დააკარგვინოს ადამიანებს ბუნებრივი სახე;<sup>6</sup>

☞ მის მომნუსხველ ხმას, რომელიც სირენებისას მიაგავს, მინაზე მნათობთა ჩამოყვანა შეუძლია.<sup>7</sup>

### რეკონსტრუქციები

შედარებით, იყო უფრო ძლიერი. ის შეიძლება პორცეკინს შევადაროთ.

<sup>1</sup> Plin. nat. XXXVII, 63: quae nigerrimo colore translucet.

<sup>2</sup> ა. მაყაშვილი, 1961.

<sup>3</sup> W. Richter, 1968, 129-130. ძღრ. Б. Ф. Куликов, В. В. Буканов, 1988, 64.

<sup>4</sup> A. Goebel, 1878, 572-576.

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი, 1986, 308-309.

<sup>6</sup> მაგალითად, ღორებზე ქრევის მითი, გლავკოსოსა და ჰიკუსის მითები.

<sup>7</sup> ძღრ. Petron. Sat. 127, 29-32; Verg. ecl. VIII, 70.

ძღრ. ქართულში კრ ძირიანი სიტყვები ხმის გამოყენების მნიშვნელობით: კრინი (სიმღერის ერთგვარი ხმა), კრინვა (ხმის ამოღება), კრინანული (გურულ სიმღე-

ლიტერატურული ნაწარმებისა და გრაფიკული გამოსახულებების მიხედვით, კირკეს უმთავრესი ატრიბუტებია თასი/როფინი (θάμος),<sup>1</sup> კვერთხი/ნაკვლა (ράβδος)<sup>2</sup> და საქსოვი მაქო, რაჟ გვაფიქრებინებს, რომ იგი ოდესღარ ზედისწერის განმგებელ ღვთაებადარ გააზრებოდა.<sup>3</sup>

ზემოთ მოყვანილი მასალაში შევერადე მეჩვენებინა, თუ როგორ აირეკლა კირკესთან დაკავშირებული უმთავრესი მითოსური პლასტები კირკეს სახელოში.

ვფიქრობ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს კირკეს ფუნქციებისა და ატრიბუტების ამსახველი ტერმინების ქართული შესატყვისების მიმოხილვა:<sup>4</sup>

ქართ. კარ-/კრ- ვ-კრ-ავ; შე-ვ-კარ; კრ-ვა; კრ-ულ-ი.

მეგრ. კირ- /კ'რ- დო-კირ-უ .შეკრა"; კრ-უნ-ს -კრავს"; კრ-უა//კ'რ-უა -კვრა"; კირ-ილი-ი .შეკრული"; ო-კირ-ილი-ი .შეკრა (ფუთა)".  
ლაზ. კორ-//კირ- ო-კირ-უ .შეკრა"; ზ-კორ-უმ -კრავ"; დო-კირ-უ .შეკრა"; ნ-ო-კირ-ს // ნ-ო-კორ-ს .აზა"; ქო-გვ-ა-კირ-უ .შემოიხვია"; კორ-ელი-ი .შეკრული."

ლაზური კორ- ზუსტად შეესატყვისება ქართულ კარ- ძირს.

კარ- /კრ- არქეტიპი ქართულ-ზანურ დონეზე აღადგინა გ. კლი-

**კარ- /კრ- არქეტიპი ქართულ-ზანურ დონეზე აღადგინა გ. კლი-**

რაში ჩადგმული მიხვეულ-მოხვეული მალაი (ხმა), კრიკვა/გრგინვა (ხმა საზარელი მიზისა ძრვისა), გრიალი (ხმა ნისქვითი ზრუნვისა, ეცლთა სრმოლისა), კრიალი (კულის ხმა, კლდის ნაპრალოში კენჭთა ჩაყრის ხმა).

<sup>1</sup> მდრ. Theokr. 2, 15.

<sup>2</sup> ჰომეროსის ჰომეში ქალიშერთი კვერთხის ერთი მოქნევით ქხოველებად აქვეს გმირებს (იხ. k237-238). უნრადღებან იქვეს ის გარემოება, რომ აპოლონიოს როფოსელი მადიურ კვერთხს საერთოდ არ იხსენიებს „არგონავტიკაში“. ვისმინი რბდოს-ის შემდეგ განმარტებებს გვთავაზობს: лоза, розг, палка, посох, жезл, прут. Лоза-ს ქართლოში შეესატყვისება კრიკინა, ლერნი, წველი, რქა. კრიკინა ისევე როგორ რქა, ვაზის ნახ. მიხვეულ-მოხვეული ლერნი, მანოლის აღნიშნავს. მსგავს ინტერპრეტაციებს გვთავაზობს კურუხი (Reis, dünner Zweig). ფრისკი, ლოდლ-სკოტი და ოსტპოლი. H რბდოს-ს კითხულობდნენ აგრეთვე როგორ მათრახს, შოლტს. მდრ. N. Μαρβátου, 1999: არქაული ჰეროლოში ვადოქრები გამოისახებთან ნაკვლით ხელოში. ეგვიპტურ გამოსახულებებში მათ გველი ენაცვლებდა.

<sup>3</sup> დღე დღეა გამოისახებოდა როგორ უმველებელი ოზობა, როგორ ზედისწერის მქსოველი და სამყაროს შემოქმედი. ოზობა ქსელის წერტილში სამყაროს წერტილად, ხოლო კვირისტავი სამყაროს ლერქად გააზრებოდა (მდრ. Plat. Resp. 617D). მასვე შიობებდა შეჯდართი მთვარე თუ შხე, გახვეული მათ მიურვე გამოყოფილი სხივებში.

<sup>4</sup> ძირითადად უყარდნობი კლიმოვისა და ფინრიხ-სარკველასის მიერ დამოწმებული ფორმებს. მდრ. პ. ფინრიხი, ზ. სარკველასე, 1990: Г. Климов, 1964.



საკუთარი სახელის ფორმალური და სემანტიკური ანალიზი შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა: Κίρκη ქალღმერთის სახელია, რომელიც ფრინველის Κίρκος დასახელების მდებარეობით პარალელად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ სიტყვის ძირი წრიულობას აღნიშნავს, ხოლო Κίρκος – წაზე კამარის შემკრავ ფრინველს. ეპოქაში, როდესაც მითების ასტროლოგიზაცია ხდებოდა, ამ ქალღმერთს, აღმათ, აიგივებდნენ მნათობთან, კერძოდ კი, მთვარესთან, რომელიც ზეწაზე წრეს შემოხრებს და მას შევარდნის სახით წარმოიდგენდნენ.<sup>1</sup> უძველეს ეტაზე, როგორც ჩანს, მას გაიაზრებდნენ როგორც ლეშობაშია მტარებელს. მითი კირკეს შესახებ, რომელიც გავრცელებულია ბერძნულ-რომაულ სამყაროში, წარმოადგენდა მას როგორც ჯადოქარს, რომელსაც სიმღერის, მაგიური შეჭამანდის და ეროციკის მემკვიდრით ადამიანთა მაგიურ წრეში მოქცევის უნარი ჰქონდა. ჯარაჯარი კი, მისი ერთ-ერთი უძველესი ატრიბუტი, გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია, კირკე ოდესღაც ზედისწერის მარეგულირებელი ღვთაებურ ყოფილიყო.

### შედეგები და დასკვნები

<sup>1</sup> ლიდელ-სკოტის მიხედვით, Κίρκოს-ს კიდევ ერთი მნიშვნელობა აქვს. ის მგლის ერთ-ერთ სახეობასაც აღნიშნავს (Liddell-Scott, 1961). ფრინველი/მგელი პირველადი ოპოზიციების რიგს განეკუთვნება და შეესაბამება დაპირისპირებას ზეწა/ მინა. ამის შესახებ იხ. რ. ჟანავა, 2001.

## მესამე თავი

## კირკეს მითოსური ასპექტები და „ოდისეა“



KIRKA მითი არის ტრადიციული ამბავი.<sup>1</sup> ტრადიციულია. ანუ გადაი-  
წემა და ვრცელდება. ტრანსმისია კი მრავალი მხარის  
მონანილიეობას, ინტერაქციულობას გულისხმობს. მაშინ რო-  
გორ და რა დონემდე შეიძლება ინარჩუნებდეს იგი  
თავის იდენტურობას ორალურ თუ ლიტერატურულ  
ტრადიციებში? მითი არასოდეს არის ზუსტად ის, რასაც  
რომელიმე ფიქსირებული -ტექსტი“ გვთავაზობს. ნებისმიერი  
მონათხრობი მხოლოდ და მხოლოდ ვარიანტია. თავ-

დაპირველი -ტექსტის“ სხვადასხვაგვარი ტრანსფორმირება ინვესს ამ -ტე-  
ქსტის“ დამახინჯებას ინვარიანტული სქემის შენარჩუნებით.<sup>2</sup> ამდენად,  
ნებისმიერი დონის -ტექსტის“ ინტერპრეტირება შეიძლება მიგვიყვანოს  
კოდირებულ მითოსურ შინაარსამდე. ამას, უპირველეს ყოვლისა, მი-  
თოსური -ტექსტის“ განსაზღვრული სტრუქტურული ორგანიზირება განა-  
პირობებს, რომელსაც კონტრასტულობისა და სიმეტრიულობის პრინციპები  
უდევს საფუძვლად და რომელიც, სხვა ელემენტებთან ერთად, მითის  
მთავარი მაკონსერვირებელი მექანიზმია.

თვალსაზრისი მითის ვარიანტების სინონიმურობის შესახებ კირკეს  
მითის უძველესი პლანეტების რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა.

კირკეს მითის ასპექტები

<sup>1</sup> დღესათვის მითის უამრავი დეფინირება არსებობს. მითი შეიძლება განისაზღვროს  
როგორც ამბები ღმერთებისა და გმირების შესახებ, ან კიდევ როგორც საკრალური,  
წმინდა ამბავი მოვლენაზე, რომელიც განხორციელდა უხსოვარ დროში, in illo tem-  
pore. ფსიქონალიტიკოსებისთვის არქეტიპული კოლექტიური არაენობიერის გამოძა-  
ბილია, სტრუქტურალისტებისთვის - ნიშანთა სისტემა, რომელიც ბინარული ოპო-  
ზიციის პრინციპებზეა აგებული და მყარ სტრუქტურულ ერთობას ქმნის. რიტუ-  
ალური სკოლის მიმდევრებისთვის მითი არის რიტუალის ვერბალური დანამადი,  
რომელიც რიტუალის განმარტავს და ა.შ. ყველა ამ კონცეფციის მიმოხილვა ერთი  
ნაშრომის ფარგლებს სწილდება, ამიტომ ზოგადად აღვნიშნავ, რომ ისინი ძირითა-  
დად ერთმანეთისგან იმიჯნებიან იმის მიხედვით, თუ რას მიიჩნევენ გადაამწყვეტად  
მითის განსაზღვრისას: ა) მითის შინაარსს, ბ) ფუნქციას თუ დ) სტრუქტურას. მე  
ამოვდივარ ყველაზე ზოგადი და ფუნდამენტური განსაზღვრებიდან, რომ მითი  
ტრადიციული ამბავია (G. Kirk, 1973, 61-69; Myth belongs to the more general class  
of traditional tale). დანვრილებით მითის თეორიებთან დაკავშირებით იხ. E. M. Me-  
ლეტინსკი. 2000 და იქვე დასახელებული ლიტ-რა. აგრეთვე W. Burkert, 1979, 1-  
33; W. Burkert, 1981, 10-35; H. Franz, 1975, 1-50.

<sup>2</sup> В. В. Иванов, В. И. Топоров, 1975.











ელპენორი არაფრით გამორჩეული გმირია და, ერთი შეხედვით, გაუგებარია, რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს ამ ეპიზოდის ჩასმა კირკეს ამბავში. მკვლევართა ნაწილს ეს ჰასაყი ინტერპოლაციადარ კი მიაჩნია.<sup>1</sup>

მივყვით „ოღისეაში“ მოთხრობილ ამბავს.

ერთმა წელმა ეუნძულზე ნადიმსა და დროსტარებაში გაიარა. ზოლოს და ზოლოს მშობლიური ითაკა განასენდათ ბერძნებს, მაგრამ მანამდე კიდევ ერთი გამოედა ელოდათ – ჰადესში უნდა ჩასულიყვნენ და ტირესიასის წინასწარმეტყველებამ მოესმინათ. ყველა საშაადისს შეუდგა. ელპენორს, ოღისევისს ყველაზე ახალგაზრდა თანამგზავს, რომელიერ არე უკუით, არე ვაყუარობით გამოორჩეოდა, ნამთვრალევის სახლის ბანზე ჩასძინებოდა. ხმაურზე დაფეთებული ნამოხცა საწოდავი. თავგზაანეულმა პირდაპირ ბანიდან გადმოაბიჯა. ხერხემალი გადაემტვრა და სული ჰადესს გაუფრინდა. მისი რხედარი დაუტკირებელი და დაუძარხავი დარჩა აიათზე.

შავეთში ჩასული ოღისევისს პირველი სწორედ ელპენორის სული შემოეგება. მტირალმა მოუთხრო თავისი ამბავი, თუ როგორ დალუპა ღვინომ და ავამ დემონმა და დაათერა, უკან დაბრუნებულს საკადრისად ეპატრონა მისი რხედრისთვის.

ასერ მოხდა. აიათზე დაბრუნებულმა ოღისევისმა პირველი რიგში ელპენორი დაიტირა, მისი გვამი რურხლს მისრა, სახსოვრად კი უორლანი აღმართა, რომელიშიერ მისივე ნიჩაბი ჩაარყო. მხოლოდ ამის შემდეგ შეიტყო კირკემ მისი დაბრუნების ამბავი.

თუმერა ელპენორი საკმაოდ უფერული გმირია, მის ამბავს ჰომეროსი „ოღისეას“ სამ სიმღერაში მოგვითხრობს (κ551-561; λ51-81; μ9-16) და მთლიანობაში 47 სტრიქონს უთმობს. ამ მონათხრობში ყოველი დეტალი მნიშვნელოვანია.

ელპენორი უშუალოდ სულიეთში გამგზავრების წინ კვდება. იგი თვითონ ეუბნება ოღისევისს, რომ ღვინომ დალუპა. უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ ტაბუს დარღვევაზეა საუბარი, რარ სხვადასხვა სალხთა მიეთებში ქალღმერთის რისხვასა და გმირის დალუპვას ინვეცს.<sup>2</sup>

## გ. ბეკამ ამ ეპიზოდსა და „ილიადას“ XXIV სიმღერას შორის საკმაოდ დამატებული სტრუქტურული მსგავსება გამოავლინა. იხ. G. Beck, 1965, 1-29. რ. ქნავას დაკვირვებით, ელპენორის//ბუტესის//მიზენუსის//პალონურუსის ამბავი ერთ სემანტიკურ მკეროვს განეკუთვნება და „კლდეზე თავდაყირა დაკიდებული მონადირის“ მოდელში ვდება. მკვლევარი უარესად საინტერესოდ მიმოხილავს ამ მოთხა რიტუალურ ასპექტებს. იხ. რ. ქნავა, 2001. ელპენორის ამბავი ადვილად თავსდება კირკეს ტიპის ქალღმერთთა შესახებ თქმულებათა მწკრივში.

<sup>1</sup> გ. ბეკამ ამ ეპიზოდსა და „ილიადას“ XXIV სიმღერას შორის საკმაოდ დამატებული სტრუქტურული მსგავსება გამოავლინა. იხ. G. Beck, 1965, 1-29. რ. ქნავას დაკვირვებით, ელპენორის//ბუტესის//მიზენუსის//პალონურუსის ამბავი ერთ სემანტიკურ მკეროვს განეკუთვნება და „კლდეზე თავდაყირა დაკიდებული მონადირის“ მოდელში ვდება. მკვლევარი უარესად საინტერესოდ მიმოხილავს ამ მოთხა რიტუალურ ასპექტებს. იხ. რ. ქნავა, 2001. ელპენორის ამბავი ადვილად თავსდება კირკეს ტიპის ქალღმერთთა შესახებ თქმულებათა მწკრივში.

<sup>2</sup> მდრ. დაღლის და სამსუნის, აფროდიტეს და აქონისის მიეთები. უფრო დანერვილებული

იმისათვის, რომ საიქიოში გადასვლა შეძლოს, რიგითი მოკვდავის-თვის გარდაქცეულობაა აუცილებელი. ავი კირკურ ეუბნება ოდისევესს, სხვა თუ ერთხელ კვდება, შენ ორჯერ მოკვდები (1122). ელპენორის ქმედარს მხოლოდ ჰადესიდან დაბრუნების შემდეგ დაიჭირებენ და დაწვავენ. მიწვალენულად ის მხოლოდ ამის შემდეგ ჩაითვლება.

შუალედური დრო გარდაქცეულებიდან დაკრძალვამდე სიწოვნილიდან სიკვდილისკენ გარდაშავალი პერიოდია. სანამ სათანადო რიტუალი არ შესრულდება, ელპენორი არც წოვნილია, არც მკვდარი (წოვნილი-მკვდარია). მსგავსი ვითარებაა „ილიადას“ XXIV სიმღერაში ჰაქროკლეს დაკრძალვის ეპიზოდში. ჰაქროკლე გამოუწვადება აქილევესს და ევედრება სათანადო რიტუალი ჩატაროს, თორემ იგი აღარც წოვნილია, მაგრამ ვერც მდინარის გადაღმა გადადის.<sup>1</sup> ამგვარი შუალედური, გარდაშავალი მდგომარეობა მხოლოდ ასეთსავე სივრცეშია შესაძლებელი.<sup>2</sup>

არც ისაა შემთხვევითი, რომ ქალღმერთისთვის ოდისევესის სამზიოში დაბრუნება მხოლოდ ელპენორის დაკრძალვის შემდეგ ხდება წონილი. მას შემდეგ, რაც მინისქვეშეთში ჩადის, ოდისევესი ფაქტობრივად წოვნილებში აღარ „ნერია“, სანამ ელპენორის დაკრძალვის რიტუალს არ აღასრულებს. ჩვეულებრივ შემთხვევაში, იმისათვის, რომ ჰადესში მოხვდეს, ოდისევესი, სხვათა მსგავსად, ჯერ უნდა მოკვდეს. მას ამ ეპიზოდში ელპენორი ენაწვლება, რომელიც რეალურად ილუქება. ამგვარი ჩანაწვლება მითებისთვის უცხო არ არის. ეს ირმით იფიგენიას ჩანაწვლების რიგის მოვლენაა. რიტუალურ დაკრძალვას რიტუალური აღდგომა მოჰყვება – დაკრძალვის შემდეგ ელპენორი და, შესაძამისად, ოდისევესი ხელითორედ იზადებან, ოღონდ ახალ რეალობაში.

მინისქვეშეთთან კირკეს კავშირზე ტექსტში არაერთი სხვა მი-ნიშნებარ გვაქვს, მაგალითად, ლორადქრეული ადამიანები (K239-240). მაგრამ ლორი ამ მითის სხვადასხვა დონეზე ვლინდება და სხვადასხვა უარის თუ ეპოქის ლიტერატურული ნუაროების ურთიერთშეპირის-პირება ამ წხოველთან დაკავშირებული განსხვავებული შრეების აღ-დგენის საშუალებას იძლევა.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ ჰომეროსისგან როგორც უარობ-რივად, ასევე ქრონოლოგიურად იმდენად დაშორებული ნანარმოები, როგორც ჰეტრონიუსის „სატირიკონია“.<sup>3</sup>

რეკონსტრუქცია იმისათვის, რომელიც აქვს დაკავშირებული იხ. რ. უნავა, 2001.

<sup>1</sup> 1129-92.

<sup>2</sup> ამასთან დაკავშირებით იხ. R. Hunigton, 1979.

<sup>3</sup> ამ შემთხვევაში იმ ძირითადი პრინციპით ვხელობდვარ, რომ მითოსური შინაარსი „ტექსტის“ ნებისმიერ დონეზეა შენარჩუნებული. სწორი ანალიზის შემთხ-

Ⓔ ქალღმერთი და ცახის მიერ დაგლეჯილი გმირი  
(სქესთა ოპოზიციის საკითხი კირკეს მიღში)

„სატირიკონის“ მიხედვით, ენკოლპიოსს, რომელიც თავს მონად ასა-  
ლემს, კირკე, მონების მოყვარული თავისუფალი ყოფაქცევის წარჩინე-  
ბული ქალი, ჰაემანს უნიშნავს.

ეპიზოდი, რომელშიც კირკესა და ენკოლპიოსის შეხვედრაა აღ-  
წერილი, შეიძლება შემდეგ სტრუქტურულ ნაწილებად დაიყოს:<sup>1</sup>

1. შეხვედრა კირკესთან. მასთან სასიყვარულო კავშირის დამყარების  
მრდელიობა, რაც იმპოტენრიის გამო ფრუსტრაციით მთავრდება (126,12-  
128,4; 131,8-132,5);

2. ენკოლპიოსის განცდები და რეფლექსია (128,5-130,6; 132,6-133,1);

3. იმპოტენრიისგან განკურნების მრდელიობა (130,7-131,7; 133,2-138,4).

ჰეტრონიუსისთვის პარადიგმა ჰომეროსისეული თხრობა უნდა ყოფი-  
ლიყო და ამაზე, უპირველეს ყოვლისა, მთავარი გმირების სახელები  
მიგვანიშნებს. ესენი არიან კირკე – თავისუფალი ყოფაქცევის ქალი და  
ენკოლპიოსი, რომლის მეცსახელი – პოლიენოსი (Polyaenos),<sup>2</sup> ანუ  
„მრავალამბიანი“ – ოდისეისის ერთ-ერთი სცანდარტული ეპიკლესაა.

„სატირიკონს“ თითქოს არაფერი აქვს საერთო ძველბერძნულ  
ეპოსთან. მის გმირებსაც მითოლოგიურ ჰერსონაყებთან სახელის მეტი  
თითქოს არაფერი უნდა აკავშირებდეს.

ჰეტრონიუსთან კირკე უარყოფს თავის ღვთაებრივ წარმოშობას და  
ასე ეყენობა პოლიენოსს:

*'ita' inquit 'non dixit tibi ancilla mea me Circen vocari? non sum quidem  
Solis progenies, nec mea mater, dum placet, labentis mundi cursum  
detinuit (127, 32-35).<sup>3</sup>*

ტექსტიდან უხადი ხდება, რომ ავტორისთვის წნობილია კირკეს მი-  
თის ისეთი ასპექტები, როგორიცაა კავშირი მთვარესთან.

**კირკე-ენკოლპიოსის შეხვედრა**

ვევაში. ჰეტრონიუსის „სატირიკონში“ იგივე მითოსური პლასტები უნდა გამოავ-  
ლინოს, რაც ჰომეროსის ტექსტში იყო დამონშებული.

<sup>1</sup> Petron. Sat. 126, 1- 139, 5.

<sup>2</sup> შტრ. πολίαιον Ὀδυσσεύ, μέγα κύνδος Ἀχαιῶν (μ184). ეს ეპიკლესა, რომელიც  
ფიქსირებული, სცანდარტული ეპოეტიკის რიგს განეკუთვნება, „ოდისეაში“ მხოლოდ აქ  
არის დამონშებული. იგი გვხვდება „ილიადაში“ (K544). πολίαιον-ის (მრავალი ამბის  
მქონე ან მრავალსახელოვანი) მნიშვნელობის შესახებ იხ. P. Pucci, 1979, 129, შტვ. 2.

<sup>3</sup> აქედან და შემდგომშიც მოგვყავს ზნკარტული თარგმანი: ასე, – ამბობს, – არ  
გოხობა ჩემმა მთავრემ. რომ მე კირკეს მეძახიან? ამასთანავე არც მზის მთამომავალი  
ვარ. არც ღვდაჩემმა იყრდა, თუ როგორ შეეჩერებინა წარმავალი სამყაროს სვლა.



ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ამ შემთხვევაში ჰეტრონიუსი ოვიდიუსის ელევინას უნდა ეყრდნობოდეს.<sup>1</sup> მაგრამ „საცირიკონის“ ავტორი კირკესთან დაკავშირებული მითოსური ჰლასტების იმდენად ღრმა წოდნას ამჟღავნებს, რომ ჩნდება ეჭვი, ხომ არ უნდა ყოფილიყო იმპოტენრისის მოცივი თავდაპირველი მითის კუთვნილება.<sup>2</sup>

იმის ასახსნელად, თუ რატომ ხდება შესაძლებელი ამ მოცივის კირკესთან დაკავშირება, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, რა მითოსური შინაარსი იმალება „სქესის ნართმევის“ მითოლოგიის მიღმა.

თუკი გავიხსენებთ სხეულის ნანილეების სიმბოლიკას, ვნახავთ, რომ ფალოსი, ისევე როგორც იარაღი, მამაკაერური ძლევაშისილეების ნიშანია. მასში არის კონრენტორირებული მამაკაერური ენერგია. გავიხსენოთ თუნდაც ისეთი წნობილი ითიფალიკური სიმბოლოები, როგორიც ჰერმენია – ფალოსის ფორმის ქვის სვეტები, რომლებთანაც ბერძნები ტერიტორიებს შემოსაზღვრავდნენ. ფალოსის ფორმას აძლევენ სასაზღვრო ქვეშ ბაბილონელები.<sup>3</sup>

შეფარებით უფრო გავრცელებული ვერსიით, ჰერმას ტიპის ითიფალიკური ფიგურები, პირველ რიგში, ნაყოფიერების სიმბოლოს ნარმოადგენდა.<sup>4</sup> XX ს-ის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, მეცნიერულმა კვლევამ ამ სიმბოლოს სხვა ასპექტი წამოსნია წინ.

ეთოლოგები დააკვირდნენ სხვადასხვა ჯიშის მაიმუნების ქრევას; მათ ჯგუფს გამოეყოფა ერთ-ერთი, რომელიც საგუშავოდ ბორჯზე ჯდება და თავის სასქესო ორგანოს გამოაჩენს. როგორც კი უცხოტომელი გამოჩნდება, აღმართავს მას და რიტმულად აამოძრავებს.

აქ საუბარია ძალის დემონსტრირებაზე, რაც იმას გვაუწყებს, რომ ესა თუ ის ტერიტორია უფრო ძლიერის მფლობელობაშია.<sup>5</sup> მეცნიერებმა შეადარეს ყოველივე ეს ადამიანთა ყოფას, გაავლეს ჰარადელი ანტიკურ ჰერმებთანაც და საინტერესო დასკვნამდე მივიდნენ – ამ ტიპის ითიფალიკური ფიგურები ადამიანისათვის ოდითგანვე ბუნებრივ,

რეპროდუქციული ფუნქციის სიმბოლოა.

შენთვის ათიელის გრძელის (თარგმანი მ. ღარიბაშვილის, ოვიდიუს ნაზონი, 1987).


<sup>1</sup> შტრ. J. Adamitz, 1995, 324-325.

<sup>2</sup> ამ თვალსაზრისს ყველა არ იზიარებს. მაგალითად, მუდღერს შეუძლიანდა მიაჩნდა, რომ ეროციკული მოცივი თავდაპირველი ყოფილიყო. ასევე ე. მიროს მიაჩნდა, რომ აქ კასტრაციისა და ნაყოფიერების რიტუალის დანახვა ისევე გამოირჩევილია, როგორც ქალღმერთის მიერ გამოგზავნილი ირემში რიტუალურის ამოკითხვა. დისკუსიისთვის იხ. G. Beck, 1965, 9, შენ. 2.

<sup>3</sup> შტრ. W. Burkert, 1972, 70.

<sup>4</sup> M. Nilsson, 1992, 118-119.

<sup>5</sup> D. Fehling, 1974, 8-9.



უკვე რუდიმენტად ქრული მუქარის გამომხატველი  
ესტეტულარის საკულტო რემინისცენიას უნდა  
წარმოადგენდეს. ჰერმა მიმართულია არა  
მინის ნიაღვსკენ, როგორც ნაყოფიერების  
სიმბოლო, არამედ ზეალმართულია, ისევე  
როგორც მოღერებული მახვილი.<sup>1</sup>



ზეალმართულ ფალოსს, რომელიც აგრესიულ  
მინაარსს ატარებს, მითოსურ აზროვნებაში ბუ-

ნებრივად ენაცვლება იარაღი.

არქაულ სამონადირეო საზოგადოებაში მამაკერის სპერმეიკურ როლს  
მისი სექსუალური და საბრძოლო-სამონადირეო ფუნქციები განსაზღვ-  
რავდა, რა აგრესიით იყო ნასაზრდოები. მამაკერი, რომელიც უფი-  
ლობს ქალს დაუფლოს, მონადირედ გაიზრება, ქალი კი მის მსხ-  
ვერპლად. ჯობი თუ კეტი, მუზი თუ მახვილი, რევოლვერი თუ  
ზარბაზანი - საზოგადოდ იარაღი, მამაკერის ატრიბუტებად ითვლება  
და თითქმის ენაცვლება სასქესო ორგანოებს ქვის ხანიდან მოყოლებუ-  
ლი თანამედროვე რეკლამების ჩათვლით. დარტყმა და მიზანში მო-  
ხვედრა, შეჯახება და გახვერცხვა ამბივალენტური ტერმინებია და ამასვე  
ასახავს ამ სიტყვების ორმნიშვნელოვნება ენაში.<sup>2</sup>

ამდენად, განიარაღებული და პოტენციანართმეული/კასტრირებული  
მამაკერი ერთ სემანტიკურ მწკრივში განიხილება.

თუკი თვალს გადავავლებთ მითებს, დავინახავთ, რომ საჭურისები  
სრულიად განსაკუთრებულ როლს ასრულებენ დიდი დედის მითებსა  
და რიტუალებში.<sup>3</sup> საჭურისები იყვნენ კიბელეს, არტემის ეფესელის,  
პიერაპოლისელი ასტარტას ქურუმები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ  
ისინი უდილობდნენ მიებაძათ ქალღმერთის მითოური სატრფოებისთვის.<sup>4</sup>

გვ. 72-73-ის სურათები

<sup>1</sup> W. Burkert, 1972, 82.

<sup>2</sup> შდრ. ქართული თარგონები „დაჯახება“, „გარტყმა“, „გაცვრა“, „დახვერცხვა“ და სხვ.,  
რომლებიც ერთდროულად იარაღის სროლასავე აღნიშნავენ და სასქესო აქტსავე.

<sup>3</sup> კლასიკური ეპოქის საბერძნეთში დიდი დედის კულტი უკანა პლანზე იყო  
გადახურული. ნინაპოლიროსული ეპოქასა და ელინისტურ-რომაულ პერიოდში კი, რო-  
დესავე არქაიკის რესტავრაცია ხდებოდა, იგი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა.  
ძვ.წ.წ-ის 204 წელს დიდი დედის კულტი შეიტანეს რომში. რამდენადაც უნო-  
ბილია, რომაული რიტუალები ფრიგიულთა იდენტურია და გარკვეულ წარმოდგენას  
გვიქმნის ორიგინალზე. შდრ. A. Лосев, 1957, 64; W. Burkert, 1972, 85-96; M. Nilsson, 1992, 640-657; Th. Nöldke, 1907, 150-152.

<sup>4</sup> დიდი დედის კულტმსახურები ან საჭურისები არიან, ან ქალის ტანსაყმელს იცა-  
მენ. ან ქაღების რუკებს ასრულებენ. Д. Ж. Фрезер, 1986, 327-331; L. Deubner, 1966,





რობილ ამბებთან საოწარმანად ანალოგიას აღმოვაჩინეთ. მას შემდეგ, რაწ ანლაზბუდას მოქსოვს (სხვათა შორის, ქსელს მხოლოდ მდედრი ოზობა აკეთებს), მდედრი ოზობა მამრის მოლოდინში ისვენებს. მაგრამ მასთან მიახლოვება არე ისე ადვილია, რადგან იგი აგრესიულობით გამოირჩევა. თუ მდედრი განწყობილია სტუმრის მისაღებად, ვარკვეულ სიგნალს აგზავნის. ამის შემდეგ მამრი სახიფათო ზონაში შედის. მამრის მიერ განაყოფიერებული ოზობა მისგან სხვა სარგებელს ვეღარ ხედავს და შესანსლავს მას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მდედრი ოზობები თავიანთ დონორებს ანადგურებენ მას შემდეგ, რაწ სიწოწხლის განსაგრძელებლად აუწილებელ ენერგიას მიიღებენ. მათ ამგვარი ქრუვით არანაკლებ გაითქვს სახელი, ვიდრე ანლაზბუდების ქსოვით.<sup>1</sup>

მითებში დედა ღვთაების შეყვარებულები ან თავს ისაჭურისებენ, ან მათ ღორი/ცახი გლეჯს. ოსირისს ცახადქრული სეტი კლავს, ვარეული ღორი იმსხვერპლებს თამუხს, ადონისი და აცისი ცახის ეშვზე ნამოეგებან.

ღორის სიმბოლიკა, ვფიქრობთ, ნათელს ხდის, თუ რა განაპირობებს ამ, ერთი შეხედვით, ორი სრულიად განსხვავებული მითის თანაარსებობას.

მინაურ რხოველებს შორის ღორს ყველაზე დიდი ნამატი ჰქონდა. შეიძლება ამიკომარე. ადრენეოლითის ეპოქაში მისი მომრგვალებული სხეული მინდვრის ნაყოფიერების სიმბოლოდ გაიაზრებოდა. არსებობს სხვაგვარი განმარტებარე. როგორე ჰლოტარქესთან ვკითხულობთ. „ღორს თაყვანს სრემენ იმ მიზეზის გამო, რომ პირველად ამ რხოველმა დატოვა მინის მჩიჩენავი დინგის წვერით თოხის კვალი და ამგვარად გუთნის მუშაობა აჩვენა“.<sup>2</sup>

ღორის მწირე ზომის ქანდაკებათა ფრამენტები, რომლებზეე თავთავია გამოსახული, აღმოჩნდა დნესტრის დანლოზზე შავ ზღვასთან. რადიოკარბონული გამოკვლევა მათ დაახლოებით ძვ.წ.აღ-ის 5500 წლით ათარიღებს.<sup>3</sup> რუმინეთსა და ჩრდილოეთ საბერძნეთში აღმოჩენილი ღორის გამოსახულებიანი და ღორის ფორმის ლარნაკათა დიდი რაოდენობა კი საკულოტო პრაქტიკაში ამ რხოველის მნიშვნელოვან როლზე უნდა მიუთითებდეს. ღორი, როგორე ჩანს, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თრიალეითის კულტურის საკულოტო პრაქტიკაში. ამაზე შეტყველებს მუარნინჯაოს ხანით დათარიღებული აღმოჩენები. სამარხებში, სხვა რხო-



<sup>1</sup> ი. აკიმუჟინი, 1978. 46-47.

<sup>2</sup> Plut. Mor. IV, 670 A.

<sup>3</sup> M. Gimbutas, 1979. 211.

ველეების (სარისა და წხვრის) ნაშთებთან ერთად, ნაპოვნია ლორის ძვლები. მიყენიერთა ინტერპრეტაციით, მიწველებულებს ამგვარად საიქი-  
შიერ მიენოღებოდათ სასიყობლო ენერგია.<sup>1</sup>

გავრცელებული თვალსაზრისით, აგრარული რევოლუციასთან ერთად, პალეოლითის -ფეხმძივე ქალღმერთი" გარდაიქმნა მინის ნაყოფიერების ქალღმერთად, რომელიც ლორთან ასოცირდებოდა.<sup>2</sup>

ყოველივე ეს ენაშიერ აისახა. ლორის საერთო ინფოვეროპული და-  
სახელება, რომელიც "სა ძირამდე დაიყვანება, ნაყოფიერებას გულის-  
ხმოზს, ისევე როგორც ამ ძირიდან ნანარმოები სხვა ტერმინები.<sup>3</sup> ძველ-  
ბერძნული ΧΟΙΡΟΣ გოფსაერ აღნიშნავს და საშოსაერ.<sup>4</sup>

ამგვარად, მითები დასავურისებული და ლორის მიერ დაგლევილი გმირების შესახებ სინამდვილეში ერთსა და იმავეს უნდა მოგვითხ-  
რობდნენ. ორივე შემთხვევაში მდებარეული საწყისის მიერ მამრულის შთანთქმავსა და ათვისებაზეა საუბარი.

ამ ინფორმაციის გათვალისწინებით ნაკითხული მითის ჰომეროსი-  
სეული ვერსია სრულიად ახლებურ ასპექტში გაიზარდა.<sup>5</sup>

მიუყვეთ ჰომეროსის თხრობას.

მონათული ოდისევსი ბაბუამის ავტოლიციოსს ენვევა პარნასოსზე:

ὄπιπὸτ' αὖ ἠβήσας μητρῴων ἐς μέγα δῶμα  
ἔλθῃ Παρνησοῦδ'...(τ410-411).<sup>6</sup>

ნადირობისას ცახი ოდისევსს მუხლს ზემოთ ამგერებს ეშვს.

...ὁ δὲ μιν φθάμενος ἔλασεν σὺς  
γούσις ὑπερ, πολλὸν δὲ διήφυσε σαρκὸς ὀδόντι (τ449-450).<sup>7</sup>

## მიწველებული მამრულის ნაყოფიერების მითი

<sup>1</sup> ამასთან დაკავშირებით იხ. От. Лорткипанидзе, 1989, 126. ამ ნეს-ჩვეულების ინტერპრეტაციისათვის იხ. იქვე, გვ.19.

<sup>2</sup> M. Gimbutas, 1989, 146. "The paleolithic Pregnant Goddess. known to us from the stone "Venuses" of Willendorf and Lespogue, was transformed into an earth fertility deity who was often associated with the saw".

<sup>3</sup> ამასთან დაკავშირებით იხ. Т. Гамкрелидзе, В. Иванов, II, 1984, 593-598; 6. ანაკლეოა, 1997, 103-107.

<sup>4</sup> შდრ. Arist. Ach. 729-817; 747, 764, 767-75.

<sup>5</sup> ჰ. ფროდონის დაკვირვებით, ეს და სხვა მხვავის სპერიფიკური მითები, რომელთა შესახებ საუბარი უკვე იყო, სექსუალურად აგრესიული ქალების ნინადალდეგ მამ-  
კაცების შიშის სიმბოლურ ასახვას უნდა წარმოადგენდეს. P. Friedrich, 1978, 68. შდრ. V. J. Wohl, 1993, 24-25.

<sup>6</sup> როდესაც მითითა, დედის დიდი სახლიდან პარნასოსისკენ გაემურა.

<sup>7</sup> დაასწრო რა მას ლორმა, დაურა/მუხლს ზემოთ, უძლებით ბევრი ხორცი გამოვლია.



ὦ Κίρκη, πῶς γάρ με κέλειαι σοὶ ἦπιον εἶναι,  
 ἢ μοι σὺς μὲν ἔθηκας ἐνὶ μεγάροισιν ἑταίρους,  
 αὐτὸν δ' ἐνθάδ' ἔχουσα δολοφρονέουσα κελεύεις  
 ἐς θάλαμον τ' ἔναι καὶ σῆς ἐπιβήμεναι εὐνῆς,  
 ὄφρα με γυμνωθέντα κακὸν καὶ ἀτήνορα θῆης (κ337-341) –

უძნებდა ოფისევის ქალღმერთს.<sup>1</sup>

თვალთ გადავავლოთ გუმბათ ზმნის სემანტიკურ ველს. ჩვეულებრივ, გუმბათ ნიშნავს გაძრობას, გახდას. კონტექსტიდან გამომდინარე, შიბილება ნიშნავდეს იარაღის აყრას (გახდას), ტანსაყმლის გაძრობას (გაძიშვლებას), ან კიდევ სულაერ ცყავის გაძრობას. „შესაძლოა, აქ ხორრისგან გაძიშვლება, განძარცვა იგულისხმებდა, რაერ დაკრძალვის უძველეს ნესს ეხმანებდა.“<sup>2</sup> ეს კონტექსტი კირკეს შემთხვევაში არათუ დასაშვებია, არამედ სრულიად ბუნებრივიერ, თუკი კირკეს სახელოს სემანტიკას გავითვალისწინებთ.<sup>3</sup> კირკე-შევარდენი ლეშოჰამია ქალჩიკა ლვთაებდა, იძავე ტიპისა, როგორებერ სირენები იყვნენ.<sup>4</sup> სირენათა მსგავსად, ეს სისხლისმსმელი ქალღმერთი წარმოღ-

#### კონტექსტი

160). შერ. კ294-301. კ300-301: μή τί τοι αὐτῆ πῆμα κακὸν βουλεύσειεν ἄλλο, μή σ' απογυμνωθέντα κακὸν καὶ ἀτήνορα θῆη (რომ თავად შენთვის რაიმე სხვა ზოროტი ვნება არ ჩაოტიკროს./რათა შენ შიშველი/უარალო, რუფი და არამაძაკერური არ გაგხვდოს).

<sup>1</sup> ო. კირკე, როგორ მიზრძანებ მე ვიკო აღერისანნი/ რომელმარ ჩემი მეგობრები მეგარონში ლორებდა აქერი./თავად [მე] გყავარ აქ. ხრიკის მომთქრემელი მიზრძანებ./სანლოისაკენ შენ ნამოგყვე და შენს სარეკლოზე ავიდე./რათა მე გაძიშველებული/განძარცვებული რუფი და არამაძაკერური გაშხადო.

<sup>2</sup> ვერდენი რ. რნავას მიერ გამოთქმული ვარაფს. ობ. რ. რნავა, 2001, 282. შენ. 1. მკვლევრის დაკვირვებით, ამავე კონტექსტში უნდა იოს ნახმარი nudus ვერგლიუსთან (Aen. V, 871).

<sup>3</sup> ამასთან დაკვეშირებით ობ. ნაშრომის II თავი, გვ. 48-61.

<sup>4</sup> შემთხვევითი არ არის, რომ ჰეკრონიუსი კირკეს ხმას სირენებისას ადარებს. სირენები, ისევე როგორ კირკე, მამაკერებს სიმღერით და ტყბილი ხმით (ἐντύου αὐδῆν) აჯადოებენ (ὀλέγισον). მათ ირგვლოვ მფელოზე თუთრი ძვლების ხროვდა. ყველა, ვინერ ამ კუნბულის ჩაველოს (ესენი კი, როგორერ ნესი, მამაკერები არიან), მონუსხული ჩერდებდა მინამ, სანამ ძვლებს ხორგი არ შემოალოკებდა და ცყავი არ გაძკრებდა. ე. ვერნანტი ყრადღებდას ამახვილებს მფელოს აღმნიშვენიელ ტერმინზე λειμῶν, რომელსარ ორი მნიშველოზა აქვს – აკვებული მფელო, ქალის გენიტალია – და ასვენის, რომ ეროტიკული მოტივი მითის უძველეს ვერსიაში მნიშველიოვან როლის ასრულებდა. J.-P. Vernant, 1991, 104. სხვათა დაკვირვებით, მითში თავდაპირველი ომოთავა „ხორრის ბუბუკით“ სირენათა სიმღერამ შერვალა. ამასთან დაკვეშ. ობ. Л. М. Акимова, А. Г. Киришин, 2000, 204. გარდა ამისა, სირენები, კირკეს მსგავსად, ფლომენ საკრალურ როდნას. კირკეს საქოთთან აქვს კონტაქტი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფლომს სოკრეს, სირენები კი – ფროს,



გენათა უძველეს ეტაპზე, შესაძლებელია, მსხვერპლად დაუმარხავად დატოვებულ ადამიანთა (უფრო ზუსტად – მამაკრთა) ლეშს ითხოვდა.

ჩიკაგოს უნივერსიტეტში დარწმუნდა ერთი შავფიგურული ბეოტიური სტამნოსის გამოსახულება. იგი ძვ.წ.წ. IV ს-ით თარიღდება და ძლიერ არის დაზიანებული. გამოსახულება რომ კირკეს სწენას წარმოადგენს, ევს არ ინევეს, მაგრამ ახსნას ძნელად ექვემდებარება.<sup>1</sup> წარწახვე გამოსახულია შვიდი ფიგურა, რომლებიერ ერთმანეთს მისდევს მარ-ეხნიდან მარჯვნივ: ქალი (კირკე) სკიფოსს სთავაზობს მოხურს (ოდი-სევსა?). რომელსაერ შუბის ცარიით მასთან რაღერ ცყავი მიაქვს. მას მოსდევს სხვა პერსონაჟი ისევ ცყავით ხელში. შემდეგ ერთმანეთის პირისპირ გამოსახულია ორი მებრძოლი ფიგურა. ამას კვლავ მამაკერი მოსდევს, რომელსაერ ისევ ცყავი უღირავს. ბოლო ფიგურა დაზიანებულია, მისგან მხოლოდ შავი სამკუთხედა დარჩენილი და არ იკითხება.<sup>2</sup> ო. ტუშეფუ-მინიერი გთავაზობს, „ოდი-სევსის მიერ არჩეულ ემბლე-მაში (ცყავში) დავინახოთ წარიღლი ციკი, რომელიერ გმირს სასაერლოს ხდის და, როგორერ კომედაში, ქვეყნის გარშემო ერთგვარი გაუმაძღარი ხეცადლის სიმბოლოერ ასახვას წარმოადგენს.“<sup>3</sup> ჰ. კანჩიანი თვლის, რომ „გამოსახულება, აღმათ, მითთან არ არის დაკავშირებული“.<sup>4</sup>

მაგრამ ზემოთ წარმოადგენილი მასალა ამ გამოსახულების სხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა: წარმოადგენილია ქალღმერთი (თავდაპირველი მნიშვნელობით, ლეშიყამა), რომელთანაერ ძღვნად ცყა-ვები მიაქვთ.

არ არის გამორიხებული, რომ ვაცყავების მოცივი გარკვეულ როლს ასრულებდა კირკეს შესახებ უძველეს თქმულებაში. ეს კი, როგორერ მკვლევრები ვარაუდობენ, თავის მხრივ, დაკრძალვის უძვე-ლეს მითორიტუალურ მოდელამდე აღდგება.<sup>5</sup>

რეკონსტრუქციის გრაფიკული წარმოდგენა

იქიან წარსული და მომავალი (184-191).

<sup>1</sup> ამ შემთხვევაში ვყერდნობი ო. ტუშეფუ-მინიერს და მასთან გამოქვეყნებულ ფო-ტოებს. იხ. O. Touchefeu-Meynier, 1961, 263-270. აგრეთვე F. Canciani, LIMC VI, Kirke N 33.

<sup>2</sup> O. Touchefeu-Meynier, 1961, 269.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> F. Canciani, LIMC VI, Kirke N 33, 54.

<sup>5</sup> დანრიღებით ამის შესახებ იხ. რ. რნავა. აღმათ, საინტერესო იქნებოდა ამავე კონ-ცეპტში ოქროს სანძისას განხილვა. იხ. Л. Акимова, А. Киришин, 2000, 199-212.

ყოველივე ეს ადვილად ხსნის, რაცომ უნდა დაკავშირებოდა მარსიასის სახელი კირკეს.<sup>1</sup> როგორც ითქვამს, მარსები თავს კირკეს ვაჟის – მარსიასის შთამომავლებად მიიჩნევენ. მარსიასი ზერძენთა არესის, ეტრუსკების მარსის, რომელითა მარსის ანალოგია. გადმოცემით, მარსიასმა ათენას მიერ დაგდებულ ფლეიტი იპოვა და სახელოვანი მუსიკოსი გახდა. გათავებულნი აპოლონს გაეპაექრა. აპოლონმა დამარცხებული მარსიასი ფიციის (ზოგიერთი ვერსიით, ჭადრის) ხეზე დაკიდა, წოწვლად გააძრო ცვაკი და ისიც იქვე ჩამოკიდა.<sup>2</sup> ვფიქრობ, ეს არწოთუ ორაზროვანი პარალელია ოქროს საწმისთან – კოლხეთში არესის (მარსის) მუხაზე დაკიდებულ ვერძის ცვაკთან.<sup>3</sup>

თუკი ამგვარი მსჯელობა მართებულია, ზემოთ მოყვანილი ყველა კონტექსტის გათვალისწინება კირკეს სახეში უძველესი დანაშრეების აღდგენის საშუალებას იძლევა.

პარადოქსია, მაგრამ გმირისთვის ქალღმერთის სუფრის გაზიარება მიუღებელია, სარეკლისა კი, სადაც, როგორც დავრწმუნდით, არანაკლები საფრთხე ელის, არა. ამას ერთადერთი ახსნა შეიძლება მოეძებნოს – ზღაპრულ სამყაროში ჭადოქართან ღამის გაცარება აღიქმება როგორც განსაყდელი, რთული გამოცდა და არა როგორც სიამოვნება.<sup>4</sup> უნდა ვიგულისხმოთ, რომ „სამინელი ფირის“ შემდეგ ქალღმერთი იძულებული ხდება მოთოკოს თავისი ღვთაებრივი სექსუალობა და საშუალება მისრეს ოდისევეს თავად წარმართოს სასიყვარულო თამაში ისე, როგორც მოკვდავს ხელებიფება. ზოგიერთი ინტერპრეტაციით, „შეჭედივას რა, კირკე აღუთქვამს ოდისევეს, უყვარდეს იგი როგორც მოკვდავი, როგორც მუცლი, როგორც მოშინაურებული ქოველი.“<sup>5</sup>



### კირკეს-მარსიასის კავშირი, სხვა გადმოცემებთან შედარებით, ნაკლებად პოპულარული ჩანს ანტიკურ სამყაროში, რაზეც ნყართა სიმერიე მივანიშნებს. მაგრამ ამგვარი დაკავშირება ბუნებრივად და რომელიმე ავტორის ფანტაზიას ვერ მიეწერება, რადგან იგი საკმაოდ მოხდენილად „ფდება“ კირკეს შესახებ გადმოცემათა მწკრივში, რომლებიც დასავლეთმედიტერანულ გარემოში ვრცელდება. ამის შესახებ იხ. ქვემოთ გვ. 122.

<sup>1</sup> კირკე-მარსიასის კავშირი, სხვა გადმოცემებთან შედარებით, ნაკლებად პოპულარული ჩანს ანტიკურ სამყაროში, რაზეც ნყართა სიმერიე მივანიშნებს. მაგრამ ამგვარი დაკავშირება ბუნებრივად და რომელიმე ავტორის ფანტაზიას ვერ მიეწერება, რადგან იგი საკმაოდ მოხდენილად „ფდება“ კირკეს შესახებ გადმოცემათა მწკრივში, რომლებიც დასავლეთმედიტერანულ გარემოში ვრცელდება. ამის შესახებ იხ. ქვემოთ გვ. 122.

<sup>2</sup> O. Jessen, 1890-94.

<sup>3</sup> ასეთი ანალოგია დასაშვებად მიაჩნათ. იხ. Л. М. Акимова, А. Г. Киришин, 2000, 211, შენ. 14.

<sup>4</sup> D. Page, 1973, 56; A. Dyck, 1981, 196-198.

<sup>5</sup> P. Pucci, 1998, 159-163.

გმირი, რომელიც მონიჭულ ასაკში ღორისგან დაგლეჯას გადაურჩა, რხაღია, ამ საფრთხესავე დაძლევეს. ჰომეროსის თანამედროვე მსმენელს, ვისთვისაც წნობილი იყო ოდისევსის ნადირობის ამბავი და მასში ჩა-შიფრული სიმბოლური შინაარსი, ეს ინფორმაცია არ გააკვირვებდა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ამნები ღორის მიერ დაგლეჯილ და დასაჯულ-რისებულ გმირებზე ერთი მითის ორ ვერსიას უნდა წარმოადგენდეს.

ოდისევსი მხოლოდ მას შემდეგ არის მზად ჰადესში ჩასასვლელად, რაერ ყველა ამ გამოცდას გაივლის. ამგვარად, ოპოზიცია დაძლეულია. ხმალი/ფალოსი სძლევეს თასს/ ვულვას.<sup>1</sup> კირკე უკან იხევს ხმალად-მართული ოდისევსის წინაშე, დამაბრკოლებლიდან დამხმარედ იქნება და მიასნავლის გზას საიქიოსკენ.<sup>2</sup>

ამგვარად ნაკითხული კირკეს ამბავი საშუალებას გვაძლევს, მითის არქაული, დიდი დედის სახემდე ამავალი შრეები<sup>3</sup> აღვადგინოთ და ვიგუ-ლისხმოთ, რომ ღორი კირკეს ერთ-ერთი ზოომორფული კორელატი უნდა ყოფილიყო. სხვა მხრივ კი, დავასკვნათ, რომ ოდისევსი „მონადირეთა“ მითოლოგიური მწერის, ოღონდ ახალი ტიპის გმირია.<sup>4</sup> ავსისის, ადონისის, თამუზისა და ეშმუნისგან განსხვავებით, იგი მზად არის მდედ-რულ სანყისთან შესახვედრად ისე, რომ არ დაექვემდებაროს მას.

## ღორადქრული მამაკაცების ამბავი

კირკეს ამბავში ღორი სხვაგვარადარ „მუქაობს“. მიუხედავად იმისა, რომ ძვ.წ. აღ-ის VI ს-დან მოყოლებული ლარნაკებზე ვირად, ხარად, რხვრად და სხვა რხოველებად ვარდასახულ ადამიანებსავე გამოსახავენ, სწორედ ღორადქრული მამაკაცების სიუჟეტი აღმოჩნდა ყველაზე სიყრფილის-

რეკონსტრუქციის საფუძველი

<sup>1</sup> ზ. ცოპოროვი განასხვავებს პირველნივთს, ძლიერ ნივთს და სუსტ ნივთს. პირ-ველნივთის მახასიათებლებია საკრალურობა, კოსმოლოგიურობა, რიტუალურობა. მისი ანალოგიით შექმნილი ძლიერი ნივთიერ რიტუალურია. სუსტი ნივთი მისი მიზაძვად და დვას პროფანულის, დამხმარე ნივთების დასაწყისში. ცოპოროვის აზრით, ადამიანის სხეულის ნაწილები, ჩვენს შემთხვევაში, გენიტალიები, პირველნივთებია, ხმალი და თასი კი მის მიზაძვას უნდა წარმოადგენდეს. ისინი შეიძლება ძლიერ ნივთებს მივაკუთვნოთ. იხ. B. Tonopov, 1995, 11-15.


<sup>2</sup> „ოდისევსი“ ზემოთ მოყვანილი პასაჟი კულტურის ისტორიის იმ პერიოდს უნდა ასახავდეს, როდესაც მითებში, ისევე როგორც საზოგადოებაში, პატრიარქალური სის-ტემა მატრიარქალურს ენაცვლებოდა. შდრ. J. Yarnall, 1994, 47.

<sup>3</sup> ჰომეროსი, ვაწრობიერებულად თუ გაუწრობიერებულად, ოთვალისწინებებს ყველა ამ შრეს, როდესაც კირკეს ოდისევსის ხეცალის ამბავში ჩართავს.

<sup>4</sup> ამ ოვალისაზრის იზიარებებს რ.წანავა: „ამ ეპოზოდში იგი „უფება“ სამონადირეო რეკლის სტრუქტურაში.“ იხ. რ.წანავა, 2001, 278.







ქონდათ საკუროთხევლოთან და მარჯვლებში ურევდნენ.<sup>1</sup> ის, რაჟ მინისგან იყო, კვლავ მინას უბრუნდებოდა. ძველების წარმოდგენით, ეს დაარწმუნებდა დემეტრეს, ეკუროთებინა მოსავალი.<sup>2</sup>

ამ უძველესი მავიის გადმონამოები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დღემდე არსებობს.

ლორი ელევსინის მისტერიების განუყოფელი ნაწილი იყო. ყოველწლიური წერემონიის მესამე დღეს, მას შემდეგ რაჟ ქურუმი ქალები და დემეტრეს ჰიეროფანტი ელევსინიდან ათენისკენ წმინდა გზას გაუდგებოდნენ, ინირანტთა მასას (დაახლოებით 30000 ადამიანი) ზღვისკენ მოუძიბდნენ. მათ თან მიჰყავდათ ბურვაკები, რომლებსაჟ განზანდნენ და შემდეგ მსხვერპლად სწირავდნენ, რადგანაჟ სწამდათ, რომ ესოველის სისხლი წმინდა იყო, ჰქონდა ძალა განენმინდა ინირანტები და გაეთავისუფლებინა მათი სული ბოროტისაგან. ასეჟ სჯეოდათ, რომ ეს მინისქვეშეთის ღვთაებისათვის საყუთესო ძღვენი იყო. მსხვერპლმწენიოვის რიტუალის შემდეგ ლორს ნიადავში ღრმად ფლავდნენ. ინირანტებს მხოლოდ ამ რიტუალის შემდეგ ეძლეოდათ უფლება, დიდ პოოესიას შეერთებოდნენ.<sup>3</sup>

ლორის რეგენერაციული და განმმენდი ფუნქციით დიდი დედის მონათესაჟე ქალღვთაებათა კულტმსახურებამი გამოყენება ევს არ იწვევს. სანერმენთმი რეგულარულად ტარდებოდა მწენიოული გოჯის სისხლით განმმენდის წერემონია. გოჯის მსხვერპლმწენიოვით (περίοδια) განიწმინდებოდნენ ათენში სახალხო მქერების დანყების წინ. ასეთიჟე რიტუალი სრულდებოდა ყოველი წარმოდგენისა და საზეიმო თავყრილობის დანყებამდე.<sup>4</sup> ერთ-ერთ ლარნაკზე გამოსახულია აპოლონი, რომელსაჟ ორესტეს თავზე სამსხვერპლო ლორი ალუმართავს. სისხლი, რომელიოჟ წვეთავს, ძველების წარმოდგენით, სისხლისაგან განმმენდს ორესტეს.<sup>5</sup> რძემუშრალი გოჯს იყენებს კირჟე სამსხვერპლო ესოველად „არგონავტიკამი“ განმმენდის რიტუალის მქსრულენისას.<sup>6</sup>

გვ. 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100

<sup>1</sup> თესმოფორიებს დეტალურად აღწერს ლუკანეს სქოლიასტი. დისკუსიისათვის იხ. L. Deubner, 1966, 40 მმღ.; M. Nilsson, 1992, 119, Anm. 4; W. Burkert, 1972, 284; S. Eitrem, 1944, 32 მმღ.; E. Gjerstad, 1929, 230 მმღ.

<sup>2</sup> W. Burkert, 1985, 242.

<sup>3</sup> იქჟე, 39.

<sup>4</sup> O. Keller, 1909, 402.

<sup>5</sup> იქჟე, 41.

<sup>6</sup> იხ. Apoll. Rhod. IV, 704-705.



მართალია, კირკე არ არის δάμαρ,<sup>1</sup> იგი მარტო რხოვრობს და თვითონ ირჩევს პარცნიორს, მაგრამ ხელყოფს მას, ვინც ღირსეულ პარცნიორობას ვერ უნევს, ვინც მას ექვემდებარება. სხვათა აზრით, სწორედ ამგვარი დამოკიდებულების გამახატულებას ნარმოადგენენ ლორადქვეული ბერძენი მეზღვაურები.<sup>2</sup>

ორივე თვალსაზრისი საკმაოდ რაწიონალურია, მაგრამ არ არის საკმარისი მითის ასახსნელად.

დავუბრუნდეთ ისევ ტექსტს.

ქალღმერთმა სადგომიდან ღორები გამოიყვანა. ახლა სხვა ჯადოდა-  
ლახი ნააწხო სათითაოდ. მათარ, უფრო გაახლოვარდავებულებმა და მოლონიერებულებმა, მამინვე დაიბრუნეს ადამიანის სახე.

...ή δὲ δι' αὐτῶν

έρχομενη προσάλειφεν ἑκάστω φάρμακον ἄλλο·  
τῶν δ' ἐκ μὲν μελέων τρίχες ἔρρεον, ἄς πρὶν ἔφυσεν  
φάρμακον οὐλόμενον, τό σφιν πόρε πότνια Κίρκη·  
ἄνδρες δ' ἄψι ἐγένοντο, νεώτεροι ἢ πάρος ἦσαν,  
καὶ πολὺν καλλίονες καὶ μείζονες εἰσοράσθαι (κ391-96).<sup>3</sup>

ოფისტესის თანამგზავრები კვებიან თავიანთ ძველ არსებაში და, ღორის ცვათით შემოსილები, იბენენ მის ძალასა და ვიჭაღურობას. შემდეგ, უოკლომხრივ გაკეთილშობილებულნი, ხელმეორედ იბადებინან

ქალღმერთის მიერ ღორების დადგენის აღწერა

<sup>1</sup> ბერძნულ ენაში მფედრის აღმნიშვნელი არაერთი ტერმინი არსებობს. ასაკისა და სორიალური სტატუსის მიხედვით იგი სხვადასხვაგვარად მოიხსენიება – ἡ παῖς, ἡ κόρη (κύρη), ἡ θυγάτηρ, ἡ παρθένος, ἡ γυνή, ἡ δάμαρ, ἡ μήτηρ. თითოეული ამ სახელ-  
თაგან გარკვეულ მდგომარეობას აღნიშნავს, ხოლო ამგვარი „გარკვეულობის“  
მინიჭება ხელდასხმის, ინირიარის შესაბამის ეტაპს შეესაბამება (ბერძნული  
პანთეონის ქალღმერთთა შესახებ ამ კონტექსტში იხ. რ. რანავა, 2000, 313-329).  
მითზე საუბრისას ტერმინოლოგიური სიზუსტე მნიშვნელოვნად მიმარჩია. δάμαρ  
(მეუღლე) მომდინარეობს ზმინდას δამაძა (ვათვინიერებ, ვამინაურებ, ვიმორჩილებ).  
Ἄδამαστος, ფ. პასკვის განმარტებით, δάμαρ-ის ანტონიმია, მაგრამ იგი ქალნულთა  
(παρθένος) მიმართ ოქქმის. შესაბამისად, მას ვერ ვიხმართ კირკეს მიმართ, რომე-  
ლორ. „ოფისტეს“ მიხედვით, არ არის მეუღლე (δάμαρ), არც დედა – არ განეუღვ-  
ნება γυνή-μήτηρ-თა კლასს – არ ემორჩილება (ექვემდებარება) მამრს, მაგრამ  
არც παρθένოს-ის, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით. ამიტომ აქარ და შემდგომშირ  
ვტოვებ ბერძნული ტერმინს δάμαρ და მივმართავ მის ნეგარას (მფრ. А.Υ.Υ.  
Κοτταρίδη, 1998, 8-9.)

<sup>2</sup> N. Marinatos, 1995, 137-138.

<sup>3</sup> ხოლო მან (იგ. კირკემ), ჩამოყარა რა, სათითაოდ ნაარხო სხვა ნამალი. მათ.  
უბედურებს, დასრვიდათ ჯაგარი, რომელიორ მანამდე ამოუყანა მეუღე კირკეს  
ავისმქნელმა ნამალიმა. კვლავ იქნენ კარებად, უფრო ახლოგარდებდა, ვიდრე  
მანამდე იყვნენ, შესახედავად ბერად უკეთესებად და ახოვნებად.





მემორცემულ ქალღმერთს. ამგვარი სჯენები ორი ტიპისაა. ერთნი გამოსახვენ სასონარკვეთილ ზერძენებს, მაგალითად, VI ს-ის დასასრულით დათარიღებული ატიკური შავფიგურული ლეკითოსები, რომლებიერ ამავე დროს ამ გამოსახულებათა შორის უძველესია.<sup>1</sup> მეორე ტიპის ილუსტრაციებზე (ძვ.წ. აღ-ის II ს-ის ეტრუსკულ ურნებზე) გარდასახული ადამიანები უფრო „ნებაყოფლობით მსხვერპლს“ ემსგავსებიან. ეს მოცივი ნარმოდგენილია, მაგალითად, ორივეტოს სარკოფაგზე.<sup>2</sup> აქ კირკეს ოფისევსისგან ორი ზერძენი იყავს. მსგავს სიუჟეტს ვხვდებით აგრეთვე ეტრუსკულ ურნებზე. ო. ტუშეთუ-მანიერის დაკვირვებით, ეს ამკარად გვაფიქრებინებს, რომ მითის ჰომეროსთან ნარმოდგენილი ვერსია ერთადერთი არ იყო.<sup>3</sup> ამ განსხვავებული ვარიანტის მიხედვით, რხოველები არ ნარმოადგენდნენ ბოროტი ჯადოქრის უიღბლო მსხვერპლს, ისინი ქალღმერთის მსლენდლები და მწველები უნდა ყოფილიყვნენ.

ვფიქრობ, ზოგიერთი უძველესი გამოსახულების გათვალისწინება გარკვეულნილად ნათელს მოაქვენს ამ მითოსური ხატის მიღმა დაფარულ შინაარსს.

VII-VI ათასწლეულით დათარიღებული ერთ-ერთი კედლის გამოსახულება ნარმოგვიდგენს ხარზე ნადირობის სჯენას. გარდა მონადირეებისა, რომლებსაერ ჩვეულებრივ ხელთ შუბები უპყრიათ, გამოსახულია ლეოპარდის მსგავსი ფიგურები. მათ უკანა ნაწილი რხოველისა აქვთ. თუკი გამოსახულებას განვიხილავთ როგორერ ჩვეულებრივი ნადირობის სჯენას, ამ ფიგურათა სპერიფიკის ახსნა გაფირდება. ეს რიტუალური გამოსახულება უნდა იყოს. საქმე გვაქვს სტატუსის რიტუალურ აღნიშვნასთან. აქ გამოსახული ადამიანები დიდი ქალღმერთის კულტმსახურნი უნდა იყვნენ. ისინი რვილიზებული სამყაროს მიღმა რხოვრობენ, ქალღმერთს სპერიფიკური გზით ემსახურებიან და ნარმატებული ნადირობის გარანტები არიან.<sup>4</sup>

ვ. ზურკერტის ინტერპრეტაციით, მონადირის სიეროქხლე დარწლია არაფუნქციონალური, რიტუალური მანერით. იგი ნორმალური, რვილიზებული სამყაროს მიღმა მოთავსებული, მანგრამ ურთიერტყავშირშია

გვ.წ. აღ-ის II ს-ის ეტრუსკულ ურნებზე

<sup>1</sup> F. Canciani, LIMC VI, Kirke N 5, აგრეთვე N 6-10.

<sup>2</sup> F. Canciani, LIMC VI, Kirke N 49.

<sup>3</sup> O. Touchefeu-Meynier, 1961, 166-168.

<sup>4</sup> W. Burkert, 1979, 119-120.

მასთან.<sup>1</sup> ეს გახდა საზაო ფორმა მამაკართა საზოგადოების ორგანიზებისა ზოგჯერ დიდი ქალღმერთის წინამძღოლობის ქვეშ. მისი ნევრები ისტორიულ პერიოდში ქალღმერთის მეგზურები არიან – Meter-ის კორინძანტები, იდას მჟედელი დაქცილები, კუნძას ოქრომჟედლები, γάλλοι პესინუსსა და პიერაპოლისში, ჩვენს შემთხვევაში კი, კირკას მხლენლები.

იქვე, ჩათალ-პუტუში არის აღმოჩენილი ორ ლეოპარდს შორის მჯდომი ქალღმერთის სახელგანთქმული გამოსახულება. რხველები ღმერთის მეგზურები არიან. გამოსახულება VI ათასწლეულით თარიღდება და თითქმის იდენტურია ზევრად უფრო გვიანდელი კნებლესა და დიდი დედის გამოსახულებებისა. განსხვავება უმეტეს შემთხვევაში უზნიშვნელოა. მაგალითად, მუქერულ ინანასთან ლეოპარდს ლომი ენაგრვლება.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ამ ტიპის არაერთი გამოსახულებაა აღმოჩენილი, მაგალითად, ზრინჯაოს მრრე ზომის ზავშვიანი ქალის ქანდაკება სოფელ ურეკიდან და მასთან ერთად ფრინველების, ხარის, შველისა და ავაზის ზრინჯაოს ქანდაკებები; ამვე ტიპის ქანდაკება რხველთა და ფრინველთა გამოსახულებებთან ერთად გუდაუთიდან; სოფელ სულორში ნაპოვნი კოლხური ზრინჯაოს რულის ყაზე აღმოჩენილი სკულპტურული კომპოზიცია, რომელზეც გამოსახულია დიდი დედის მხედრები. ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე დიდი დედის კულტის გავრცელებაზე მეტყველებს ასევე ძველი კოლხურ სამკაულებზე წარმოდგენილი მოტივები.<sup>2</sup>

განსაკუთრებით მრავლისმთქმელია „თრიალეთის ფალოს“ გამოსახულება. მასზე გამოსახულები არიან ქიკონებში გამოჩენილი კუდანი ანთროპო-ზოომორფული არსებები, რომლებიც მიემართებიან რენტრში მოთავსებული იმავე ტიპის ფიგურისკენ, რომლის ზურგს უკან სცილიზებული ხის გამოსახულებაა. მიჩნეულია, რომ ეს კოსმიური ღერძის სიმბოლოდ უნდა ჩათვალოს, რაე, თავის მხრივ, ნაყოფიერებისა და ძლევამოსილების განსახიერებაა. ქვედა ფრიზეზე გამოსახულია უფრორმები და ხარირმები. ეს ფილაა აშკარად საკულტო



გვერდის მხარეს

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> ამასთან დაკავშირებით იხ. От. Лорткипанидзе, 1989, 82-83; ით. ლორთქიფანიძე, 1972, 101, შენ. 75.

ინვენტარს განეკუთვნება. ამგვარი რიტუალები კი გაზაფხულზე წარ-  
დებოდა სიეროხლოს განახლების აღსანიშნავად.<sup>1</sup>

იკონოგრაფიული გამოსახულებები ხშირ შემთხვევაში არ იძლევა იმის  
მტკიცების საფუძველს, რომ ჩათალო-ჭუიკის დედა-ქალღმერთის მეგობარი  
ლეოპარდები ან სხვა გამოსახულებებზე წარმოდგენილი რხაველები თუ  
მონადირეები საჭურისები არიან. თუმცა, ოვიდიუსი უწინაურ ამბავს მოგ-  
ვითხრობს კბელის ასექსუალური ლომების შესახებ.<sup>2</sup>

ამ კონტექსტში რიტუალური კასტრაციის ამოკითხვა გასაკვირი არ  
იქნებოდა. იმისდა მიხედვით, თუ რას სჩადიოდნენ γάλλοι, შეგვიძლია  
ვიმსჯელოთ, როგორ ექნოდნენ Meter-ის მსხვერპლს: სამსხვერპლო  
ხარს თუ რხვარს გენიტალიუმს აჭრიდნენ, ქრემონილური მსველელო-  
ბით მიპქნობდათ და ფლავდნენ. ასევე γάλλοι-ის გენიტალიები, სპერ-  
ალური დამუშავების შემდეგ, დიდი დედის მღვიმეს გადაეყვებოდა, ან  
მინაში იმარხებოდა. ამგვარად, მონადირე მსხვერპლს უტოლდებოდა.  
მთავარი სანახაობა ე.წ. „სისხლიან ფლეს“ იმართებოდა. γάλλοι სა-  
ხალხოვ ისერავდნენ ხელეშს დანითა და ნაკვებით, ისე რომ, ტვი-  
ვილს არ ამტკავებდნენ. ამის შემდეგ ისინი ქურუშებთან ერთად პა-  
სიური ჰომოსექსუალებივით იქნოდნენ.<sup>3</sup>

ლომებით, ლეოპარდებითა და ირმებით გარემორყული დიდი დედის  
მსგავს ქალღვთაებდათ იკონოგრაფიული გამოსახულებები კირკესთან  
დაკავშირებით მიმოხილული სიკვდილის, რეგენერაციისა და ნაყო-  
ფიერების ასპექტებს მოიქვას. ისინი საბერძნეთში განსაკუთრებით ხში-  
რად ძვ.წ.აღ-ის VII ს-დან გვხვდება. ამის გამო ნ. მარინატოსი  
კირკეს მითის ჩამოყალიბებას ორიენტილიზაციის პერიოდში ვარაუ-  
დობს: „მისი მიკენური წარმოშობა არარეალურად მიმაჩნია“.<sup>4</sup>

ძვ.წ.აღ-ის V ს-ის დასაწყისით თარიღდება ვანის ერთ-ერთ  
სამარხში აღმოჩენილი საბეჭდავი, რომელიც სინკრეტული არსებდა გა-  
მოსახული. ე.წ. ლომკარა წარმოადგენს „განოლილი ადამიანის ფიგურას  
მტკიცების თავითა და ნინა კიდურებით. არსებდა კუზიანია. სხეულის  
ნინა ნაწილის აგებულების მიხედვით (თავის ფორმისა, დრუხჩის, ნინა  
კიდურისა, რომელიც თათს წარმოადგენს და აგრეთვე ფაფრისა) ძუ  
ლომის პროტომა უნდა იყოს.“<sup>5</sup> მ. ლორთქიფანიძის კლასიფიკაციით,

რეკონსტრუქციის საფუძველზე

<sup>1</sup> იხ. От. Лорткипанидзе, 1989, 134, შებ. 27.

<sup>2</sup> ამის შესახებ W. Burkert, 1979, 120, შებ. 16: Ov. Met. X. 686-704; Plin. nat. 35, 17.

<sup>3</sup> W. Burkert, 1979, 120.

<sup>4</sup> N. Marinatos, 1995.

<sup>5</sup> მ. ლორთქიფანიძე, 1976, 122.





ირიემი შემომეფეთა. მზისგან მონყურებული ცყის საძოვრიდან მდინარისკენ ეშვებოდა. მას შუა ზურგზე ხერხემალში სპილენძის შუბნი ვაძგერე და გამჟღელ გავუტარე. მტვერში დაეფრა მყვირალი. ფეხი დავაძვინე, სპილენძის შუბნი ვრილობდიდან ამოვადვრე. იქვე მინაზე დადებულნი დავცოკე. დავსხიპე წვრილი ცოცები და კარგად დაგრეხილი, ორმხრივ დანხული თითქმის მკლავისგამშლას სიგრძის საბელოთ შევუკარი ფეხები შემადარხუნებელ სამინელებას. შუბზე დაყრდნობილმა ზურგზე მოგდებულნი ნაბიჯ-ნაბიჯ ნავილე შავი ხომალდისკენ, რადგან შეუძლებელი იყო მხარზე წაღო ხელით მისი ნაღება, იმდენად დიდი იყო წხოველი.<sup>1</sup>

ჰომეროსთან ირემზე ნადირობისა და დანაყრების სცენა (κ156-186) შეიძლება დახასიათდეს როგორც ერთ-ერთი გრძელი და, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ეპიზოდი, რომელიც არავითარ როლს არ ასრულებს სიუჟეტის შემდგომ განვითარებაში. თუმცა ტექსტის ლინგვისტურ-კონტექსტური ანალიზი კირკეს მითის სრულიად ახალ და უაღრესად საინტერესო ასპექტებს წარმოაჩენს.

ზღვით შემოსარცყელად, მუხნარით დაზურულ მთაგორიან კუნძულზე, სადაც ქალღმერთის საწხოვრებლიდან უჩვეულო კვამლი ამოდის, პირველი წოქცული არსება, რომელიც ოდისეუსს შეხვდება, უჩვეულოდ დიდი ირემია. ამგვარი შესხვდრა სრულიად ზუნებრივად და აღნიშნავს განსაზღვრულ სფეროს – სფეროს ცყების დიდი ქალღმერთისა.<sup>2</sup>

### რეკონსტრუქცია

<sup>1</sup> κ156-171: ἀλλ' ὅτε δὴ σχεδὸν ἦα κιὼν νεὸς ἀμφελίσσης./καὶ τότε τίς με θεῶν ὀλοφύρατο μοῦλον εὐίτα, /ὅς ῥά μοι ἰψίκερνα ἔλαφον μέγαν εἰς ὄδον αὐτὴν /ἦκεν· ὁ μὲν ποταμόνδε κατήϊεν ἐκ ἡμοῦ ἕλης/πίομιενος· δὴ γάρ μιν ἔχει μείνος ἡέλιος· /τὸν δ' ἐγὼ ἐκβαίνοντα κατ' ἀκνηστὶν μέσα ἰῶτα/πλήξα· τὸ δ' ἀντικρὺς δόρυ χάλκεον ἐξεπέρησεν, /καὶ δ' ἔπεισ' ἐν κοίτῃσι μακίων, ἀπὸ δ' ἔπειτα θυμὸς./τῷ δ' ἐγὼ ἐμβαίωσαν δόρυ χάλκεον ἐξ ἰπειρῆς/εἰρυσάμην· τὸ μὲν αὖτ' ἀκακλίνας ἐπὶ γαίῃ/εἶασ'· αὐτῆρ ἐγὼ σπασάμην ῥῶπᾶς τε λύγους τε/πέσιμα δ', ὅσον τ' ὄργυιαν, εὐστρεφές ἀμφοτέρωθεν/πλεξάμενος στυλῆδισα πόδους δεινοῖο πελώρου, /βῆν δὲ καταλοφάδεῖα φέρων ἐπὶ νῆα μέλαιναν/ἔγχει ἐρειδόμενος, ἐπὶ οὐ πῶς ἴεν ἐπ' ἄμου/χείρι φέρειν ἔτερη· μάλα γὰρ μέγα θηρίον ἦεν.

<sup>2</sup> იხ. K. Kerényi, 1944, 73, გ. ზეცი შენიშნავს, რომ, ჩვეულებრივ, ირემი ფილით არ მიდის დასარხუნებულად. მისი აზრით, ამიტომ ცდილობს ჰომეროსი, ახსნას ირმის გამორჩენა და ამბობს, მზით დასიხუნელი იყო (κ160). სქოლიოსკენს უკიდრდათ ამ ეპიზოდის განმარტება. შფრ. κ158 შმფ. და X147 შმფ.: აქილევსი ისე ნადირობს პეტკორზე, როგორც ირემზე. ირმის მოკვლის სცენა უჩვეულოა. გროგერის დავკირვებით, შუბით გაქრული ირმის მოკვლას პრაქტიკულად შეუძლებელია. ამასთან დაკავშირებით იხ. G. Beck, 1965, 5, შმფ. 2, A. Heubeck, 1984, 37-41. უარადღებანს იქვეც კიდევ ერთი ნიუანსი. ჰომეროსთან ოდისეუსი თითქოს იმიტომ

კირკეს კუნძულოზე ირმის გამოჩენა ნანღლობრივ სხვადასხვა ხალო-  
ხებში გავრცელებული მითოსური წარმოდგენებითავე აიხსნება. ირემი, რო-  
გორც ლიტერატურული, აგრეთვე არქეოლოგიური მასალის მიხედვით,  
ადრესამინათმოქმედო ეპოქის სხვადასხვა ხალოხებს ნაყოფიერების ქალ-  
ღმერთისა და ნადირთ მუჟის – დიდი დედის – ჰიპოსტასად მიაჩნდათ.  
რელიგიურ წარმოდგენათა ასტრალიზაციის პროცესში იგი მზეს და მთვარეს  
დაუკავშირდა.<sup>1</sup> შესაძლებელია, ეს იმითავე აიხსნას, რომ ირმის და-  
ლაქული ზურგი ვარსკვლავებით მოხატული ზიურს სიმბოლო იყო. მთვარეს  
სშირად წარმოადგენდნენ ირემზე ამხედრებულს. ასე არის გამოას-  
ხული იგი ვაზური ფერწერის ნიმუშებზე.<sup>2</sup> ირემი, მონადირეთა საყვარე-  
ლი წხოველი, არტემისის ერთ-ერთი უძველესი ატრიბუტი და ზოოპორ-  
ფული ეკვივალენტია.<sup>3</sup> Ἐλαφία, Ἐλαφιαία არტემისის ეპიკლესებია ელინისა  
და ჰამფილიაში.<sup>4</sup> მის ჰატვისაგანვე წარდებოდა ἔλαφοβλία.<sup>5</sup>

Ἀγαλλομένη ἐλάφοισιν – ასე მოიხსენიებდნენ ჰეკატეს.<sup>6</sup> კლინგერის  
აზრით, ეს განპირობებულია არა ჰეკატე-არტემისის ჩანაცვლებით, არა-  
მედ უძველესი მითოლოგიური წარმოდგენით, რომელიც მინისტრეშეთის  
ქალღმერთს ირემთა მსგავსი სულების გარემოცვაში მოაზრებდა.<sup>7</sup>

მთვარესთან გაიგივებული ღვთაებები სშირად ნადირთ მუჟეებად  
(Δέσποινα, Πότνια Θερῶν) გვევლინებიან. ნადირთ მუჟის სახეს მოგ-  
ვაგონებს სხვადასხვა წხოველებით გარშემორტყმული კირკე.<sup>8</sup>

#### ქალღმერთისა და მთვარის სიმბოლოები

მოდის საზადიროდ, რომ ბერძენი შიმშილით კვებოდნენ. x155-ში კი ნათქვამია,  
რომ გემზე საგმელი არის და სასმელიც.

<sup>1</sup> დანვრლებით ამის შესახებ იხ. O. Keller, 1909, 277-279. რ. ქნავას დაკვირ-  
ვებით, „ირემი... ასორიებულია აღმოსავლეთთან, სინათლესთან, სინმინდესა და გა-  
ნახლებასთან. ხვადი ირემი მზის ეკვივალენტია. მისი რქები სიუხვის იხსივნაა. ძე  
ირემი... ძირითადად მთვარის ქალღმერთის მეზურია. ამ ფუნქციით მოაზრებდა კი-  
დეურ არტემისთან მიმართებაში. რიტუალშიც ძე ირემი ქალურ სანყის გულისხ-  
მობს“. იხ. რ. ქნავა, 2000, 321-322, შგნ. 6.

<sup>2</sup> W. Roscher, 1890-1894, 3175.

<sup>3</sup> შდრ. ζ104 τερπομένη κάρποισι καὶ ἄκειρσι ἐλάφοισιν; Schol. ad Pin. Ol. 3, 29; Kalim. Dian. 98; Strab. 8, 343; Paus. 6, 22, 5. ამასთან დაკავშირებით იხ. W. Roscher, 1884-1890, 569.

<sup>4</sup> Paus. VI, 22, 10.

<sup>5</sup> იხ. L. Preller, 1872, 241.

<sup>6</sup> ირემით სახელგანთქმული, Orph. Hymn. I, 3.

<sup>7</sup> როპლოტი და ლოში ირემში სულთა გამრცელებულს ხედავენ. შდრ. Dr. Losch, 1899, 261-267; A. Клиггер, 1911, 105-106.

<sup>8</sup> შდრ. P. Кинжалов, 1977, 21. Кирка не связана с олимпийскими богами, а явля-  
ется «владычицей зверей».

ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალას გვთავაზობს ქართული ეთნოგრაფიურ. მაგალითად, სვანეთში გავრცელებული წესის მიხედვით, მიწვალენულთათვის შესანიშნავ რეზერვუთა შორის იყო ჭიხვი ან არჩვი.<sup>1</sup> მიწვალენულთა საიქიოში თან ახლებდნენ ჭიხვის ფიტულებს. სწორედნენ რიტუალურ ზოომორფულ ნამწებებს, სშირად ჭიხვის გამოსახულებით.<sup>2</sup>

ირმები გვევლინებიან გზისმკვლევებად და გამწილენლებად, რომლებიც გზას უჩვენებენ გმირებს.<sup>3</sup> ოქროსრქოსანი ირმის დევნა სულეთში მოგზაურობად აღიქმება.<sup>4</sup> ეს მოტივი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართულ ფოლკლორში.<sup>5</sup>

ერთი ქართული ზღაპრის მიხედვით კი, მთის ნვერზე მდგარი ირმის უზარმაზარი რქების მეშვეობით, კარი ზეურზე ღმერთთან მისვლას ახერხებს. ქორბუდა ირმის რქების ზესკნელში აღმავალ კბეფ ნარმოდგენა ასევე ზუნებრივია მითოსური აზროვნებისთვის.

ამგვარად, მითოსური რწობიერებისთვის ირმის რქები მთის, კოშკის, ხის, შინის, ნანნავის, კბის, ხიდის ეკვივალენტური ღირებულების მქონე სიმბოლოა და სეროხელის ხეფ მოიაზრება. თავად ირეში (რხენისა და რხერის მსგავსად) იმ რხოველთა რიგს განეკუთვნება, რომლებსაერ სენელებს შორის გადაადგილება შეუძლიათ, ხოლო ის ადგილი, სადაერ ზე-, შუა- და ქვესკნელს შორის ამგვარი კავშირი ხორრეოდება, სამყაროს მითოსურ რწნტრად გვევლინება.

როგორერ ითქვა. აიაია. კუნძული. სადაერ სფეროებს შორის კავშირი მყარდება, სამყაროს ღერძად, მითოსურ რწნტრად შეიძლება მივიჩნიოთ.

ქართულ სინამდვილეში ამგვარი (არა მარტო მითოსური, არამედ გეომეტრიული) რწნტრი იყო კერას.<sup>6</sup> საქართველოს ტერიტორიაზე აღ-

<sup>1</sup> ჭიხვი, არჩვი და ნამორი მალაღმთან რევიონებში სშირად ენარვლება ირემს.

<sup>2</sup> ი. სურგულაძე, 1986, 88.

<sup>3</sup> Словарь символов, 1999, 251.

<sup>4</sup> იბ. რ. რანავა, 1998, 114. ირეში ჰერაკლეს ჩაიყვანს ჰიერზორეთში, სადანარევი ზეთისხილს ნამოიღებს.

<sup>5</sup> შდრ. სომღერა ზეთილზე, ამირანიანი, ფარნავაზის სიზმარი. ამასთან დაკავშირებით იბ. ზ. კუნაძე, 1984.

<sup>6</sup> იბ. ს-ს. 1965. კერას შუარეხელის დასანთებ ადგილს აღნიშნავს. კერას ენოდება აგრეთვე საქონლის გამრავლებისა და მოსავლიანობის მთავარი ითიფალოური ღვთაების ზერა/ზეროიკას სახელიზე გამორხვარ კვრის. კვრი სომბნდის ან სორბლის მრგვალი ფორმის რიტუალური ნამწებარია. კერას კვრის გავრცელების ზონაში გვხვდება ქვის კერები. მათზე გამოსახულ ასტროლოურ ორნამენტებს ეთნოგრაფები აღორძინებისა და ნაყოფიერების სიმბოლოად მიიჩნევენ. შდრ. ვ. რუხაძე, 1968, 71-72.







ოსტროტი თვლის, რომ ტელარ/პელარ-ს ზერძულ ენაში გააჩნია მო-  
ნათესავე სიტყვა ტერას (უჩვეულო, მნიშვნელოვანი მოვლენა, არა-  
ზუნებრივი ნიშანი), გავრცელებული როგორც ჰომეროსის დიალექტში,  
ასევე იონიურში, ატიკურსა და დორიულში. ტერას (უჩვეულო, არა-  
ზუნებრივი ნიშანი) ჰომეროსის შემდგომ ეპოქაში „მონსტრს, უჩ-  
ხულს, საშინელებას, შეუწონებელს“ აღნიშნავდა. პელარ/ ტელარ-სა და  
ტერას-ს შორის საგულისხმო სემანტიკური თანხვედრაა.

ძველი განმმარტებლები ინტერპრეტირებისას ხშირად ერთ სიტყვას  
მეორეთი ხსნიდნენ. მაგალითად: პელარ· μέγα, τεράσιτον (Suid. 2, 2,  
173) – πελάρου· μεγάλου τέρατος (Suid. 2, 2, 174). πέλαρα· θηρία, δείμα-  
τα, τέρατα, σημεῖα μεγάλα; πελάρια· μεγάλα, τεράστια (Hesych.).

ოსტროტი ლოკიდური ზგერების განსხვავებას ტერას და ტელარ  
ფორმებში მარტივად განმარტავს. იგი აღადგენს წინაზღერძულ ფუძეს  
\*qer- და თვლის, რომ ფუძის აუსლავის და სუფიქსური რ-ს ფის-  
ტანერუმა ფისიმილარიაში მოგვრა \*qel- ფორმა.<sup>1</sup>

ოსტროტი ამავე ძირის შესატყვისად მიიჩნევს car- (scar-) ძირიდან  
ნაწარმოებ სანსკრიტულ ზედსართავს ā-scar-ya-h (იშვიათი, საოჯარი)  
და არსებით სახელს ā-scar-ya-m (იშვიათობა, საოჯრება).

ტერას, პელარ და ā-scar-ya-h არა მხოლოდ სემანტიკურად, არამედ  
ფორმალურადარ შეესატყვისება ძველ ისლანდიურ და ნორვეგიულ  
ფორმებს skars/skass, რომლებიც „ჯადოქარ ქალს“ (Zauberweib,  
Hexe) აღნიშნავენ.<sup>2</sup> მათ სანსკრიტულთან საერთო აქვთ პრეფიქსი s-,  
ხოლო ძველზერძულთან – სიგმატური ნომინატივის მანარმოებელი.

ამგვარად, ოსტროტი მიიჩნევს, რომ \*qer- ძირში, რომელიც „ურბანის,  
არაზუნებრივის“ აღნიშნავს, შეგვიძლია უფრო ძველი მინარსი ამოვიკითხოთ  
– „ჯადოქანური, მოჯადოებელი“ (zauberischen, Zaubers, Zauberwerkes).

საერთოინდოევროპული \*qer- ძირი აღნიშნავს აგრეთვე „კეთებას,  
მოქმედებას, ზემოქმედებას“, მაგრამ ერთი, ჩვენთვის მეტად მნიშ-  
ვნელოვანი, ნიუანსით – მაგიურ მოქმედებასა და ზემოქმედებას.<sup>3</sup> ამ  
თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოდ მიმაჩნია სანსკრიტული

<sup>1</sup> მისივე მოთხრობით, მსგავსი ფისიმილარის მაგალითები ძვ. ზერძულთსთვის არ არის  
უცხო. აღსანიშნავია, რომ ოსტროტი რ-ით გაფორმებულ ფუძეებს პრეორიციტულად მიი-  
ჩნევს და მას ამის სანიშნოდ არაერთი მაგალითი მოჰყავს. იხ. H. Osthoff, 1905, 58.

<sup>2</sup> შფრ. იქვე.

<sup>3</sup> შფრ. H. Osthoff, 1905, 60.





ამბავთა აღუზიდად მივიჩნით.<sup>1</sup> აქტიონის მითი, გარკვეული თვალსაზრისით, კირკესა და ოფისევის ამბის პარადიგმად ან ათიაზე განვითარებული მოვლენების ანალოგიად შეიძლება ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ X სიმღერაში აქტიონი ნახსენები არ არის, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ამგვარი ანალოგია მაინც დასაშვებია.<sup>2</sup>

იომის ეპიზოდის მხოლოდ სტანდარტული სცენების ერთ-ერთ ვარიანტად მიჩნევა მიზანშეწონილი არ უნდა იყოს. იგი შემთხვევით არ არის ჩართული კირკეს ამბავში. როგორც ჩანს, ირემი (ისევე როგორც სხვა ეხოველები) ქალღმერთის ზოომორფული ეკვივალენტი იყო. აღნაშთ, არ არის გამორიყსული, რომ არსებობდა კირკეს შესახებ თქმულების უფრო სრული ვერსია, რომელშიც ირემი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და იგი ტრადიციულ ამბავს წარმოადგენდა.

## ☒ ზოგიერთი დასკვნისთვის

იმ მრავალ ქალს შორის, რომლებსაც ოფისევის შესვლამ, კირკე ერთ-ერთი ყველაზე უფრო მომხიბვლელია. ამგვარ განუყოფელობას, უპირველეს ყოვლისა, აღნაშთ, ამ პერსონაჟის ამბივალენტურობა განაპირობებს. სწორედ ის, ვინც ყველაზე დიდ დამრკოლებას წარმოადგენს ოფისევის გზაზე, იქნება მის დამხმარედ და ასწავლის, როგორ დამრუნდეს უცნებელი ჰადესიდან, შემდეგ კი როგორ დააღწიოს თავი სამ ყველაზე საშიშ საფრთხეს – ტყვილად მომღერალ ქალჩიტა სირენებს, სკილას და ქარიბდიუსს, თრინაკიას.

ჰომეროსის ტექსტი უკვე ფიქსირებული ლიტერატურაა, ანუ ტრადიციული ამბავი აქ აღარ ასრულებს პირვანდელ ფუნქციას. ეს უკვე „კრისტალიზებული“ მითია. ქალღმერთი თანდათან რეალური პერსონაჟისთვის დამახასიათებელ ნიშნებს იძენს. შემოდის ეპორეური პლანი, ჩნდება მოტივები და მიზნები – ინსება დემითოლოგიზაციის პროცესი. ის, რაც კულტსა და რიტუალში ნაყოფიერებას ასახავდა, „კრისტალიზებულ“ მითში უბრალოდ სექსუალიზაციაში ვლინდება, ქალღმერთის მეგზური ეხოველები, რომლებიც როდესღაც კულტმსახურები უნდა ყოფილიყვნენ, ახლა უბრალო აკრიზუტებად იქნენ.

„ოფისეაში“ კირკეს ეპიზოდის დეტალური ანალიზი მითის სხვადასხვა დონეების რეკონსტრუქციისა და უძველესი პლანეტების გამოვლენის საშუალებას იძლევა.

კატეგორიზაცია

<sup>1</sup> დ. პიეშა გამოავლინა კირკეს ეპიზოდის მრავალი მსგავსება „witch in the woods“ ტიპის ხალხურ თქმულებებთან. იხ. D. Page, 1973, 56-65.

<sup>2</sup> შდრ. D. Roessel. 1989, 34.



არ ვიზიარებ ნ. მარინატოსის თვალსაზრისს, რომელიც კირკეს მითის უძველესი შრეების ჩამოყალიბებას ორიენტიზაციის პერიოდში ვარაუდობს. კირკეს მითის ძირითადი ზირთვი უნდა ჩამოყალიბებულიყო არაუგვიანეს მიკენური ეპოქისა. ამგვარი ვარაუდის საშუალებას იძლევა იმ არქაული დანაშრეების არსებობა, რომელთა აღდგენაჲრ ჰომეროსის ტექსტის ლინგვისტურ-კონტექსტური ანალიზის საფუძველზე ხერხდება. გარდა ამისა, იმაზე, რომ მითი ჰომეროსამდელ პოეტურ ტრადიციამი უკვე დამკვიდრებული უნდა ყოფილიყო, კიდევ რამდენიმე მომენტი მიუთითებს:

ა) კირკეს ამბავთან დაკავშირებული ტერმინები, რენები და პერსონაჲები მყარად არიან დაკავშირებულნი მიკენური ეპოქის ამსახველ ურთულეს გენელოგიურ ნუსხებთან;

ბ) ჰომეროსისგან განსხვავებული ვერსია გვხვდება უკვე ჰესიოდესთან;

გ) მითის განსხვავებული ვერსიის არსებობას ავლენს როგორც ლიტერატურაში განხეული ურიცხვი მასალის, ასევე უძველესი იკონოგრაფიის შეპირისპირებით ანალიზი.

რარ შეეხება მითის გენეზისს, ის, აღბათ, ბერძნული გარემოს მიღმა საძიებელი. საერთოქართველურ სივრცესთან მნიშვნელოვან მიმართებებს ამჟღავნებს კირკეს სახელის ეტიმოლოგია, აგრეთვე ქალღმერთის ატრიბუტები და ძირითადი ფუნქციები. ბერძნების არაერთი მითითება კირკეს კავშირზე ეჭრობასთან და მერნიერებაში გამოთქმული ე.წ. ქართველურ-ეჭრუსკული ჰაბოთეზა მითის ახლებური ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა: შესაძლებელია, კირკეს ამბის ეს პლასტი რეალური მიგრაციის სურათს ასახავდეს, რარ კირკეს ქართველურ გარემოსთან დაკავშირების შესაძლებლობას ახალი არგუმენტებით გამყარებდა.

თუმცა, ყველა ეს ვარაუდი ვარაუდად დარჩება მანამ, სანამ არ მოხერხდება მათი გამყარება ნინაქართველურ არეალში აღმოჩენილი არქეოლოგიური თუ ნერილოზითი მონაგრებებით, რომლებიერ კირკეს კულტმსახურებაზე მოგვითხრობდა. თუმცა, უნდა ითქვას ისიერ, რომ ამ არეალში დღემდე გამოვლენილი კულტურა არ გამოორიებას ამ სივრცეში III-II ათასწლეულებში ამ ფუნქციების, ატრიბუტების და თუნდაც სახელის მქონე ქალღმერთის არსებობას.

## მეოთხე თავი

### კირკე და „არგონავტიკა“

ოქროს სანმისის მოსაპოვებლად კოლხეთში არგონავტთა ლაშქრობის ამბავი ჰომეროსამდელ საბერძნეთში უკვე კარგად ცნობილი რომ უნდა ყოფილიყო, დღესდღეობით ევკს არ ინვეკს. ინფორმაციას არგონავტების შესახებ უძველეს ლიტერატურულ წყაროებშივე ვხვდებით — როგორც ჰომეროსთან, ასევე ჰესიოდესთან. მინიათა ლაშქრობის შესახებ მოგვითხრობენ ევმელოსი, მიმნერმოსი, სიმონიდესი, პინდაროსი, ჰეროდოტე და მრავალი სხვა. არგონავტების თემას საფუძვლიანად ამუშავებს ბერძნული დრამა. მაგრამ არგონავტთა ლაშქრობის მთავარ სისტემატიზატორად მაინც აპოლონიოს როდოსელი ითვლება. ძვ.წალის III ს-ის პოეტს, რომელიც ალექსანდრიულ ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა, ხელი იმ დროისთვის არსებულ ყველა წყაროზე მიუხედავბოდა. აპოლონიოს როდოსელი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და შემდგომში არგონავტების ლაშქრობის ამსახველი ამბების დამუშავებისას ძირითადად სწორედ მას ეყრდნობიან. ამდენად, მისი თხრობა საინტერესოა არა მხოლოდ ლიტერატურული, არამედ ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისითარ.

რამდენადარ არგონავტებისა და ოდისევსის მარძრუტი მნიშვნელოვნად ემთხვევა ერთმანეთს, ძნელია დამკვიტებით მტკიცება, რომელი მათგანია პირველადი. შეიძლება, „ოდისეას“ ზოგიერთი ეპიზოდი მართლარ ზეპირსიტყვიერი არგონავტიკით ყოფილიყო შთაგონებული. მაგრამ, მეორე მხრივ, ამკარაა „ოდისეას“ კვლი არგონავტიკის ლიტერატურულ ვერსიებზე!

კირკეს ეპიზოდი ჩართულია როგორც „ოდისეაში“, ასევე „არგონავტიკაში“. მითოლოგიური ტრადიციით, „ავისზრანხველი აიეტის და“ კოლხურ გენეალოგიურ შტოსთან დაკავშირებული ჰერსონაჟია და, ამდენად, არგონავტების თქმულენასთან მისი დაკავშირება თითქმის უფრო ბუნებრივი და ლოგიკური ჩანს, ვიდრე ოდისევსის ხეტიალის ამსახველ ამბებთან. მაგრამ აქ ყურადღებას იქვეც ერთი ნიუანსი, რარ ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევრებში სერიოზულ ევკს აღძრავს. კირკეს სახე საერთოდ უგულვებელყოფილია პინდაროსთან, სოფოკლესთან და ჰეროდოტესთან. ხოლო „არგონავტიკაში“, როგორც ერთი მკვლევარი შენიშნავს, იგი მხოლოდ გაიელებს, რათა მყის გა-

რ. გორდეზიანი, 1999, 76.

უჩინარდეს.<sup>1</sup> კირკეს მნიშვნელოვანი ფუნქქია აკისრია აპოლონიოსის პოემაში, მაგრამ ბევრად უფრო ფერმკრთალია, ვიდრე ჰომეროსის პერსონაჟი. ქალღმერთის მითვისური სახე ჰომეროსთან აშკარად უფრო საფუძვლიანად არის დამუშავებული. და მაინც, სად უნდა იღებდეს სათავეს კირკეს ამბავი, თავდაპირველად რომელი რეკლის ნაწილი უნდა ყოფილიყო იგი – არგონავტების ლაშქრობის თუ ოდისეისის ხეციალის?

ერთსულოვანი აზრი ამ საკითხის შესახებ არ არსებობს. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ჰომეროსი კირკეს ეპიზოდში არგონავტთა თქმულებიდან უნდა ამოდიოდეს.<sup>2</sup> ნაწილი არგონავტიკასთან კირკეს ოდინდელ კავშირს საერთოდ ეჭვქვეშ აყენებს და ვარაუდობს, რომ იგი მხოლოდ მედებს სახის გვიანდელი გადაამუშავებაა. იმასავე კი ამბობენ, რომ კირკე არგონავტიკას პირველად ალექსანდრიულ ეპოქაში დაუკავშირდა, მას შემდეგ, რაც მინიების მოგზაურობამ შავი ზღვის აუზიდან ტირენიის ზღვაში გადაინაცვლა და ეს ჰომეროსის მინიშნებაზე დაყრდნობით მოხდა. ამ შემთხვევაში ძირითადად კირკე-აიეცის გენეალოგიურ კავშირს გულისხმობენ.<sup>3</sup> გამოთქმულია აგრეთვე თავალსაზრისი, რომ არგონავტების თქმულებასთან კირკეს კავშირს სიძველის კვალიერ კი არ ატყვია. -კირკეს ამბავი ყველა შემთხვევაში ოდისეასთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე არგონავტიკასთან.<sup>4</sup> თუმცა ასევე არსებობს პიპოთეზა, რომ კირკეს და სირენათა ამბები თავდაპირველად არგონავტთა თქმულების კუთვნილებია იყო. სკილასი და ქარიბდისის კი მასში მოგვიანებით ჰომეროსის გავლენით ჩართეს.<sup>5</sup>

კირკეს არგონავტების თქმულებათა რეკლში ჩართვას რომ ვერც ჰომეროსს, მით უმეტეს ვერც აპოლონიოსს მივანეროთ, უკვე ჰომეროსის ტექსტიდანვე აშკარა ხდება. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამის თაობაზე უკვე გამახვილდა ყურადღება.<sup>6</sup>

„ოდისეაში“ კირკესთან ერთად მოიხსენიება მისი ღვიძლი ძმა აიეცი, ნარმოდგენილია მათი გენეალოგია, საუბარია კუნძულ აიაიაზე, რომელიერ ალმოსავლეთში მდებარეობს. გარდა ამ რწობებისა, ჰომეროსთან ვხვდებით ერთ უმნიშვნელოვანეს მინიშნებას: აიაიადან წა-

რეკლამისთვის

<sup>1</sup> K. Seeliger, 1890-94, 1203.

<sup>2</sup> დისკუსიასთვის იხ. K. Seeliger, 1890-94, 1202; A. Kirchoff, 1879, 287 მმდ.: E. Kaiser, 1964, 197-98.

<sup>3</sup> E. Bethe, 1921, 504; K. Seeliger, 1890-94, 1203.

<sup>4</sup> K. Seeliger, 1890-94, 1204, 1194.

<sup>5</sup> От. Лорткипанидзе. 1989, 16, 122. მუბ. 7

<sup>6</sup> რ. გორდუზიანი, 1999, 117; От. Лорткипанидзе. 1989, 16.

სულმა აქვეყლებმა იგივე მარშრუტი უნდა გაიარონ. რაერ არგონავტებმა. ისინი უნდა გასწდნენ პლანეტებს – მოხეტიალე კლდეებს, რომლებმაც არაერთი სიწორხლე იმსხვერპლეს. ზღვის ტალოები დღემდე აზრუნებს ხომალდთა ნაშენებს და მუზღვაურთა გვამებს. ერთადერთმა, კოლხეთიდან მომავალმა „უცვლასათვის სანუკარმა არგომ“ შეძლო განსაყდელისთვის თავის დაღწევა. მასარ არ ასწდებოდა დაღუპვა, იასონს მასზე მზრუნველი ჰერა რომ არ მოძველებოდა (μ70-72).

ასე რომ, სრულად ამქარაა, რომ ჰომეროსისთვის წნობილი იყო არა მარტო არგონავტთა კოლხეთში ლაშქრობის ამბავი, არამედ ისიც, რომ კირკე გარკვეულ როლს ასრულებდა არგონავტების თქმულებაში, კრძოდ კი, კოლხეთიდან დაბრუნების სიუეტურ რგოლში. ეს, თავის მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ კუნძულ აიათს და კირკეს უკვე თქმულების უძველეს ვარიანტებშივე მნიშვნელოვანი ფუნქქრას ჰქონდათ დაკისრებული.

წხადია, ავტორი, რომელმაც არგონავტთა კოლხეთში ლაშქრობის და უკან დაბრუნების აღწერა სურდა, გვერდს ვერ აუვლიდა ამ ჰერსონაქს. წხადია ისიც, რომ აპოლონიოსი პოემაში ჩართავს კირკეს არა მხოლოდ როგორც აიეტის დას (ანუ ურდნობა მხოლოდ ჰომეროსის ინფორმაციას), არამედ როგორც ჰერსონაქს, რომელიც იმთავითვე დაკავშირებული იყო არგონავტების თქმულებასთან.

როგორც ითქვა, აპოლონიოსის კირკე ჰომეროსისეულ სახესთან შედარებით მართლაც უფერულია, მაგრამ ალექსანდრიელი პოეტი კირკესთან დაკავშირებით გვანვდის წნობებს, რომლებიც მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო. თუმცა, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, თუ რამდენად და როგორ განსხვავდება აპოლონიოსის კირკე ჰომეროსის ჰერსონაქისგან.

„არგონავტიკაში“ კირკე პირველად III სიმღერაში გამოჩნდება და ეს მოკლე ეპიზოდი კუნძულ აიათს ლოკალიზაციის თვალსაზრისითაა საყურადღებო.<sup>1</sup> კირკესთან შეხვედრის ამბავი IV სიმღერაშია გადმოწმული. მას 90 სტროქონი (IV, 662-752) ეთმობა და ამ ეპიზოდში შემდეგი სქენების გამოყოფა შეიძლება: 1) კირკეს სიზმარი; 2) კირკეს მხლებლები; 3) განმეზდის რიტუალი.

აპოლონიოსს როდოსელთან კირკე საკმაოდ მნიშვნელოვან ფუნქქრას ასრულებს. მან ურდვისაგან უნდა განმზინდოს მეფეა და იასონი, რათა მათ მშვიდობიანად ჩააღნიონ საბერძნეთამდე. ასე რომ, აიათზე არგონავტთა შეჩერება ნინასნარგანზრახულია, ღმერთების მიერ ნანინასნარმეტყველები და არა შემთხვევითობით განპირობებული.

გვ. 37-42.

<sup>1</sup> იხ. გვ. 37-42.



ათენას მიერ ხომალდზე ჩაფლობილმა ღოღონეს მუხიდან გამოთლილიმა მეტყველმა მორმა მინიემს აუწყა, რომ მანამ, სანამ კირკე როდვილებს აფსირტოსის სისხლისგან არ განხმენდდა, ისინი საშინელო ქარიშხალსა და ზღვაზე გაუთავებელ ხეციალს თავს ვერ დააღწევდნენ. ჰერას დახმარებით ძლივს გადალახეს ავსონიის ზღვა და ტირენიის სანაპიროზე აიაიას სახელგანთქმულ ნავსადგურს მიაღწენენ. აქ მეფობდა აიეცის და.

თითქმის იმავეს მოგვითხრობს „ორფიკული არგონავტია“: მუხის მორმა, რომელიც ათენა პალასმა არგონავტიაში გააგზავრა, აუწყა არგონავტებს, რომ ღმერთები მკვლელთა სულის განმმენდას ელიან ჩადენილი როდვის გამო. გმირებმა, რომლებმაც კირკეს კუნძულს მიაღწიეს, იხილეს ქალღმერთი, რომელსაც ქრუნლის ისრების მსგავსი თმა ამშვენებდა, მისი სუნთქვა კი ნათელს აფრქვევდა. მეფემ მას დახმარება სთხოვა, მაგრამ კირკემ როდვილები სასახლეში არ მიიღო, მოამარაგა ხორციითა და ღვინით და პელოპონესოსის უციდურეს საზღვარზე, მელეას სანაპიროზე გააგზავნა. იქ განსანმენდად მსხვერპლი ორფევსს უნდა შეენირა.<sup>1</sup>

„არგონავტიკის“ მიხედვით, კირკე დასავლეთში ზინადრობს. ჰესპერელთა ქვეყანაში იგი მამამისს თავისი ეკლით გადმოუყვანია.<sup>2</sup> სწორედ ამ სანაპიროსთან ჩაუშვეს ღუზა არგონავტებმა.

კირკე საშინელო სიზმარს გამოელვძებინა და განთადისთანავე ზღვის ნაპირას გასულიყო თმისა და ცანსაქმლის განსანმენდად. დაესიზმრა, თითქოს მთელი სასახლე სისხლს დაეცბორა, ჯდონამლებს კი, რითიც ადრე მოსულეებს აჯაღიებდა, ქრუნლი ნაკიდებოდა. თვითონ ჰეშვით იღებდა სისხლს და ასე რდილობდა ხანძრის ჩაქრობას. სწორედ ამ დროს მიაღწენენ არგონავტები აიაიას სანაპიროს (IV, 661-671).

რაც შეეხება კირკეს ხილვას, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზოგადად სიზმარს ლიტერატურაში სრულიად განსაკუთრებული მხატვრული ფუნქცია ენიჭება. ჩვეულებრივ, იგი მოიზარება როგორც ალეგორია და მინიმენება. კირკეს სიზმარს შეიძლება პროფეტული ვუნდობა.<sup>3</sup> სისხლი, რომელსაც ჯაღიქრის სამყოფელი დაუცბორავს, იასო-



<sup>1</sup> Orph. Arg. 1038-1242.

<sup>2</sup> Apoll. Rhod. III, 309-311. აიაიას ლოკალიზაციისა და ამ საკითხთან დაკავშირებული წნობების ინტერპრეტაციების შესახებ საუნარი იყო ნაშრომის I თავში.

<sup>3</sup> იგი შეიძლება „არგონავტიკაში“ აღწერილი ორ სხვა სიზმარს შევადაროთ. (III, 619-34; IV, 1733-45). ამასთან დაკავშირებით იხ. H. Fränkel, 1968, 520-21.

